

# ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ

## ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა

.....  
მომზადებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის  
მიერ მიდლსექსის უნივერსიტეტი, ლონდონი 2020 წლის დეკემბერი



Middlesex  
University  
London

# შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა ფართოდ არის გავრცელებული და იგი განაპირობებს ადამიანის უფლებების ყველაზე უხემ დარღვევებს, რომელიც მოიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, სოციალურ და ეკონომიკურ ზიანს. ასეთი ძალადობა ღრმად არის ფესვგადგმული და წახალისებული საზოგადოებრივი და კულტურული ღირებულებებით, სტრუქტურებითა და პრაქტიკით. ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე საერთაშორისო დონეზე სამართალწარმოება კომპლექსური პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ კერძო აქტორები და რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი საკითხია სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინფორმაციის ქონა. ამასთან, ქალთა მიმართ ძალადობა ყოველთვის ეფუძნება მრავალმხრივ დისკრიმინაციას გენდერის ნიშნით ან ინტერსექციურ დისკრიმინაციას. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, იურისტებს დაეხმაროს ამ სამართლებრივი არგუმენტების საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებაში.

წინამდებარე სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის კონტექსტებს მიმოიხილავს. იგი განკუთვნილია პრაქტიკოსი იურისტებისთვის, რომელთაც გააჩნიათ ამ საკითხებზე სამართალწარმოების და/ან საერთაშორისო ინსტანციებში სამართალწარმოების გარკვეული გამოცდილება. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ინსტრუქციები ძირითადი სამართლებრივი არგუმენტების სხვადასხვა ელემენტების მომზადების შესახებ, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას მსგავსი ტიპის არაერთი საქმისთვის. წინამდებარე დოკუმენტი არ არის ამომწურავი და იგი არ ეხება რომელიმე საქმის კონკრეტულ გარემოებებს ან ეროვნული კანონმდებლობის კონკრეტულ დებულებებს. სახელმძღვანელო ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში, „სასამართლო“) პრეცედენტულ სამართალზე და დარღვევებზე, კონვენციის შესაბამისად. ამავდროულად, სახელმძღვანელო, ასევე, შეიცავს მითითებებს გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებზე და სხვა საერთაშორისო მექანიზმებზე და კონვენციებზე.

სამართალწარმოების იმ ასპექტებთან დაკავშირებით, რომელსაც წინამდებარე სახელმძღვანელო არ მოიცავს, გირჩევთ, პრაქტიკული და ზოგადი რეკომენდაციების მისაღებად, გაეცნოთ ჩვენს მიერ მომზადებულ [ხშირად დასმულ კითხვებს](#) ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის შესახებ; მოწმისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გაეცანით [ჩვენს მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოს](#); CEDAW-ს კომიტეტთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე, გაეცანით [ჩვენს მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოს](#). მძიმე ზიანის გარდაუვალი საფრთხისგან დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, რომ სასამართლოს მიმართოდ დროებითი ღონისძიების მოთხოვნით, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის შესაბამისად, [იხილეთ შესაბამისი სახელმძღვანელო](#).

ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, შესაბამისი სტანდარტების შემცველი დამატებითი რესურსები წარმოდგენილია ქვემოთ, „სასარგებლო რესურსების“ სექციაში. ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერ საქმეზე სამართალწარმოებისას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ ისეთი საკითხები, როგორცაა ხელახლა ტრავმირების თავიდან აცილება, მომჩივნის დაცულობის, უსაფრთხოების, კონფიდენციალობის და ანონიმურობის უზრუნველყოფა, ასევე მის ოჯახთან და მოწმებთან მიმართებით.<sup>1</sup>

წინამდებარე სახელმძღვანელო მოამზადა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა (EHRAC)<sup>2</sup>. მისი შინაარსი ეფუძნება EHRAC-ის მიერ, ორგანიზაცია „Equality Now“-თან ერთად განხორციელებულ მესამე მხარის ინტერვენციებს საქმეში *Kurt v Russia* [GC] No. [62903/15](#), და EHRAC-ის მიერ, ორგანიზაციებთან Equality Now და Equal Rights Trust-თან ერთად განხორციელებულ მესამე მხარის ინტერვენციებს საქმეში *T.V. v Russia* No. [31323/19](#), ოჯახში ძალადობის და მეუღლის მიერ გაუპატიურების საკითხებზე. წინამდებარე დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობას ვუხდით თამარ დეკანოსიძეს და ალექსანდრა პაცალიდს ორგანიზაციიდან „Equality Now“ და არიან ადამს, ორგანიზაციიდან „Equal Rights Trust.“



# შინაარსი

წინამდებარე სახელმძღვანელო მოიცავს იმ კომპლექსურ სამართლებრივ არგუმენტებს, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის („კონვენცია“) ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დებულების საფუძველზე შედგენილ საჩივრებში უნდა იქნას წარმოდგენილი. ეს დებულებებია: სიცოცხლის უფლება (მუხლი 2), წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვა (მუხლი 3) და დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 14). უფრო კონკრეტულად, სახელმძღვანელო შეიცავს რეკომენდაციებსა და ანალიზს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

## სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევებთან მიმართებით 4

„რეალური და გარდაუვალი“ რისკის შეფასება („ოსმანის ტესტი“), ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით	5
„რეალური და გარდაუვალი“ საფრთხის კრიტერიუმის გამოყენება ოჯახში ძალადობის კონკრეტულ კონტექსტში	6
კონსტრუქციული ცოდნისა და სათანადო გულისხმიერების ინტერპრეტაცია ოჯახში ძალადობის კონტექსტში	8

## სექსუალური ძალადობა 10


გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებული განმარტება	11
თანხმობის ინტერპრეტაცია მონყველად მდგომარეობაში მყოფ პირებთან მიმართებით, მათ შორის, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში	12
მეუღლის მიერ გაუპატიურების კრიმინალიზებისა და მისი დამამძიმებელ გარემოებად განხილვის აუცილებლობა	13
ოჯახში ძალადობის, გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულებებზე საჯარო/ <i>ex officio</i> სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების აუცილებლობა	13

## დისკრიმინაცია 15

ოჯახში ძალადობისა და გაუპატიურების შესახებ საჩივრებში დისკრიმინაციის საკითხის განხილვის აუცილებლობა, კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად	16
სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-14 მუხლით, მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთობლიობაში	17
გენდერზე დაფუძნებული სტერეოტიპების იდენტიფიცირებისა და მათთან ბრძოლის მნიშვნელობა	19

## დასკვნა და სასარგებლო რესურსები 21





სახელმწიფოს  
პასუხისმგებლობა  
კონვენციის მე-2  
და მე-3 მუხლების  
დარღვევებთან  
მიმართებით

1. ოჯახში ძალადობა გლობალური ფენომენია, რომელიც გავლენას ახდენს ქალების 30%-ზე. მსოფლიოს მასშტაბით, ოჯახში ძალადობა წარმოადგენს მსხვერპლის დამცირების, ძალადობისა და გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად განმაპირობებელს. ამასთან, ოჯახში ძალადობის შედეგები, სიკვდილიანობისა და ძალადობის მაჩვენებლების მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების მსგავსია<sup>3</sup>. ოჯახში ძალადობა შედგება კონტროლის, ზეწოლისა და დამცირების ელემენტებისგან, ხშირად ხასიათდება სიმწვავის მზარდი ტრაექტორიით და გააჩნია კონკრეტული გამოწვევი ფაქტორები. სწორედ ამიტომ, ოჯახში ძალადობა განსხვავდება ნებისმიერი სხვა სიტუაციური ძალადობისგან და საჭიროებს დინამიკის კონტექსტზე დაფუძნებულ ანალიზსა და ქცევის მიზანმიმართული პატერნების აღიარებას, ნაცვლად იზოლირებული ქმედებების სერიისა.
2. დადგენილია, რომ კონვენციის მე-2 მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, თავი შეიკავონ არა მხოლოდ სიცოცხლის განზრახ და უკანონოდ ხელყოფისგან, არამედ, ასევე, გადადგან ნაბიჯები მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირების დასაცავად. აღნიშნული მოითხოვს ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დებულებების დანერგვას, დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად. ამ დებულებების მოქმედებას უნდა ამყარებდეს ეფექტიანი აღსრულების მექანიზმების მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დარღვევების პრევენციას, გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას. იმისათვის, რომ ამოქმედდეს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, რომელიც გულისხმობს იმ საფრთხეების პრევენციას, რომელსაც არა-სახელმწიფო აქტორები უქმნის სიცოცხლეს (როგორც წესი, აღნიშნულს ადგილი აქვს ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევებში), სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, რომ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. აღნიშნულის შესაფასებლად, ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ოსმანის ტესტი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს აღნიშნული პოზიტიური ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მან „იციოდა ან უნდა სცოდნოდა იმ რეალური და გარდაუვალი საფრთხის შესახებ, რომელიც სიცოცხლეს ემუქრება“<sup>4</sup>. სასამართლო აღნიშნულ ტესტს, ასევე, იყენებს დაცვის პოზიტიურ ვალდებულების მიმართ, კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში (*mutatis mutandis*).<sup>5</sup>
3. ოჯახში ძალადობის კონტექსტში, აღნიშნული ტესტი, როგორც წესი, მოითხოვს ოჯახში ძალადობის შესახებ ერთი ან, იდეალურ შემთხვევაში, ერთზე მეტი შეტყობინების არსებობას, რომლის შესახებაც იცოდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა. ოსმანის ტესტი არ არის შექმნილი კონკრეტულად ოჯახში ძალადობის შემთხვევებისთვის და, შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს კონტექსტს, სადაც ზიანი და ზიანის მიყენების საფრთხე მიმდინარე და მუდმივია და მკაფიო საფრთხის სახით ყოველთვის არ არის გამოხატული.<sup>6</sup> შესაბამისად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ აღნიშნული ტესტის მოქნილი გამოყენების მნიშვნელობა, კერძოდ კი, კრიტერიუმების „რეალური“ და „გარდაუვალი“ ინტერპრეტაცია სხვადასხვა გარემოებებში, რაც ქვემოთ არის გაანალიზებული.

## „რეალური და გარდაუვალი“ რისკის შეფასება („ოსმანის ტესტი“), ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

4. სასამართლომ იმთავითვე მოახდინა აღნიშნული ტესტის კონტექსტუალიზაცია და განაცხადა: „ეს არის საკითხი, რომელზეც პასუხის გაცემა შესაძლებელია კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით“.<sup>7</sup> ამასთან, სასამართლოს მიერ ტესტის გამოყენების პრაქტიკა ადასტურებს, რომ ხშირად სასამართლო ირჩევს მოქნილ მიდგომას და ითვალისწინებს საქმის კონტექსტს ისეთი ძირითადი კომპონენტების შეფასებისას, როგორცაა „იციოდა ან უნდა სცოდნოდა“, „რეალური და გარდაუვალი“ და „იდენტიფიცირებული პირი ან პირები.“  
  
„რეალური და გარდაუვალი“
5. მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას სასამართლო სხვადასხვა კონტექსტებში იყენებს და განმარტავს. ცნების „რეალური და გარდაუვალი“ ინტერპრეტაცია დამოკიდებულია საქმის ბუნებაზე. ცალსახად არ არის განსაზღვრული, რომ თითოეულ საქმეში რეალური და გარდაუვალი მკაფიო კრიტერიუმს წარმოადგენს. საქმეში *Maiorano and others v Italy*<sup>8</sup> სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს მიერ მე-2 მუხლის მატერიალური ნაწილით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევა, ვინაიდან შემაშფოთებელი გარემოებების და მიუხედავად, მან ვერ შეძლო იმ პოტენციური საფრთხის შეფასება, რომელსაც მსჯავრდებული პატიმარი უქმნიდა ფართო საზოგადოებას დროებით განთავისუფლებისას. საქმეში *Saso Gorgiev v the Former Yugoslav Republic of Macedonia*<sup>9</sup> და *Gorovenky and Bugara v Ukraine*,<sup>10</sup> სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ამოქმედება განაპირობა იმ მოთხოვნამ, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ვალდებულია, დაარეგულიროს და უზრუნველყოს (არაიდენტიფიცირებული პირების) დაცვა სიცოცხლის ხელყოფის საფრთხისგან, რომელიც თან სდევს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებისათვის სამსახურეობრივი იარაღის მიწოდებას. საქმეში *Mehmet Kaya v Turkey*,<sup>11</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი კაია, ექიმი, რომელიც დანაშაულის ჩადენაში PKK-ს დახმარებაში იყო ეჭვმიტანილი, უკანონო თავდასხმის განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა (იმ პირების მხრიდან, რომელთა ვინაობაც არ იყო ცნობილი). სასამართლოს მიერ რისკის შეფასება დაეყრდნო იმ დროისათვის

სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში არსებულ კონტექსტს, ნაცვლად საფრთხის შესახებ შეტყობინებისა. საქმეში *Bljakaj and Others v Croatia*,<sup>12</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ იმ მამაკაცის ფსიქიკური არასტაბილურობისა და სუიციდური აზრების შესახებ არსებული ცნობები (რომელიც დადასტურებული იყო მოწმეების მიერ, თუმცა, არ იყო შეფასებული სამედიცინო სფეროს სპეციალისტების მიერ), რომელსაც ოჯახში ძალადობის ისტორია ჰქონდა, საკმარისი იყო სიცოცხლის ხელყოფის რეალური და გარდაუვალი საფრთხის არსებობის დასადგენად, კონკრეტული შექარების არარსებობის მიუხედავად. პოლიცია, რომელიც მომხდარის დღეს აღნიშნულ პირს ორჯერ დაეკონტაქტა, ვალდებული იყო, გამოეჩინა სათანადო გულისხმიერება საზოგადოების დასაცავად. სამართალდამცავ ორგანოებს ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მათ ვერ დაიცვეს მსხვერპლი (მოძალადის მეუღლის ადვოკატი), რომელიც მოძალადემ დილას საკუთარ ოფისში მოკლა, მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლის მიმართ შექარა ან საფრთხის მიმინიშნებელი ცნობები არ დაფიქსირებულა. საქმეში *Kayak v Turkey*,<sup>13</sup> რომელიც შეეხებოდა სკოლაში არასრულწლოვნის მოულოდნელ მკვლელობას, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ ზოგადი მოვალეობა, უზრუნველყონ მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ბავშვების უსაფრთხოება და კეთილდღეობა.

6. აღსანიშნავია, რომ შემოადინებულ საქმეებში არ გაკეთებულა საფრთხის შესახებ შეტყობინება, სადაც იდენტიფიცირებული იქნებოდა მსხვერპლი, ადგილ-მდებარეობა ან ზიანის მიყენების მეთოდი (ამ უკანასკნელის შემთხვევაში, გამონაკლისს წარმოადგენს ის საქმეები, სადაც საფრთხე ცეცხლსასროლი იარაღის ფლობიდან მომდინარეობს). *Kaya*-ს საქმის გამოკლებით, სადაც კონკრეტული კონტექსტი იყო გადამწყვეტი, ამ შემთხვევებში საფრთხეების არსებობა, რომლის წინააღმდეგაც სახელმწიფოს პრევენციული ქმედება უნდა მიეღო, ეფუძნებოდა ადამიანის არაპროგნოზირებად ქცევას უცნობი სამიზნის მიმართ. ამასთან, არც ერთ შემთხვევაში არ არსებობდა საფრთხის „გარდაუვალობის“ დამადასტურებელი ცალკე მტკიცებულება. აღნიშნულ კრიტერიუმს, როგორც ჩანს, აკმაყოფილებს საფრთხის „რეალურობა“, რაც ნიშნავს იმას, რომ არსებობს რისკის მატერიალიზების მნიშვნელოვანი ალბათობა, თუ არ იქნება მიღებული პრევენციული ზომები.
7. სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, არ არსებობს რაიმე კონკრეტული ვადები საფრთხის „გარდაუვალობის“ შესაფასებლად, ხოლო არაერთ შემთხვევაში საფრთხე მიჩნეულია რეალურად და გარდაუვლად მას შემდეგ, რაც მოხდა მისი მატერიალიზება და ეს საფრთხე არის აღინიშნული მიდგომა სასამართლომ შემოთავაზებულ საქმეებში გამოიყენა და, ასევე, საქმეში *Oneryildiz v Turkey*,<sup>14</sup> სადაც სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვადლებულების დარღვევა, რომელიც მდგომარეობდა მუნიციპალური ნაგავსაყრელიდან მომდინარე საფრთხეებისგან ჯურღმულში მცხოვრებთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად პრევენციული ზომების მიუღებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლის 7 მაისს, საფრთხის შესახებ შეტყობინებიდან 1993 წლის 28 აპრილამდე, საფრთხის მატერიალიზების თარიღამდე, თითქმის ორი წელი იყო გასული, სასამართლომ დაადგინა, რომ მთელს ამ პერიოდში არსებობდა „რეალური და გარდაუვალი“ საფრთხე, რამეთუ ეს საფრთხე იყო იდენტიფიცირებული და მიმდინარე.

## „რეალური და გარდაუვალი“ საფრთხის კრიტერიუმის გამოყენება ოჯახში ძალადობის კონკრეტულ კონტექსტში

8. სასამართლომ დაადგინა, რომ „რეალური და გარდაუვალი“ საფრთხის კრიტერიუმის გამოყენებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ოჯახში ძალადობის კონკრეტული კონტექსტი და რაც მთავარია, ოჯახში ძალადობის თანმიმდევრული ეპიზოდების განმეორებადობა.<sup>15</sup> აღნიშნული მოითხოვს გენდერულად მგრძობიარე მიდგომის გამოყენებას, რაც ცოტა ხნის წინ აღიარებული იქნა სასამართლოს მიერ, *Volodina*-ს საქმეში: „არსებით გენდერულ უთანასწორობასთან ბრძოლა საჭიროებს კონვენციის დებულებების გენდერულად მგრძობიარე ინტერპრეტაციას და გამოყენებას, ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული ფაქტობრივი უთანასწორობების მხედველობაში მიღებით და იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენას ახდენს ეს უთანასწორობები ქალების ცხოვრებაზე.“<sup>16</sup>
9. სასამართლო, ასევე, აღიარებს ქვემოთ წარმოდგენილ სპეციფიურ მახასიათებლებსა და მოთხოვნებს ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით:
  - a. ოჯახში ძალადობის შემთხვევა აღქმული უნდა იქნას, როგორც განგრძობადი ზიანი, ხოლო ძალადობა როგორც ასეთი მიჩნეული უნდა იქნას ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა ერთობლიობად;<sup>17</sup>
  - b. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ზოგადი მოწყველადობა და ის ფაქტი, რომ ხშირად ისინი თავს იკავებენ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისგან, სახელმწიფოს მხრიდან უფრო მკაცრ რეაგირებას მოითხოვს;<sup>18</sup>
  - c. არსებობს ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ტიპები, ხოლო ყველა მათგანი არ აყენებს მსხვერპლს ფიზიკურ ზიანს (მაგალითად, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობა). შესაბამისად, დამცავი ზომები დამოკიდებული არ უნდა იყოს მიყენებული დაზიანებების სიმძიმეზე;<sup>19</sup>

- d. ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება მოითხოვს განსაკუთრებულ გულისხმიერებას, ხოლო ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სამართალწარმოების პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ოჯახში ძალადობის სპეციფიური ბუნება, რომელიც აღიარებულია სტამბოლის კონვენციის პრეამბულაში;<sup>20</sup>
10. ამრიგად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობა და ოჯახში ძალადობის განსაკუთრებული მახასიათებლების ხაზგასმა მნიშვნელოვანია. ოჯახში ძალადობა, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, არის ციკლური, დროში განმეორებადი და გააჩნია ესკალაციის ტენდენცია.<sup>21</sup> შესაბამისად, ოჯახში ძალადობას ადგილი აქვს ცნობილი პარამეტრებისა და რისკების პირობებში და ესკალირებადი გამომწვევი ფაქტორებით (მათ შორის, ნარკოტიკების და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება, დაშორება და განქორწინება) ხასიათდება. ძალადობა მიზანმიმართული ქცევითი პატერნია, რომელიც მიზნად ისახავს მსხვერპლზე კონტროლის დამყარებას. მას ერთი და იგივე მოძალადე იმეორებს ერთი და იგივე მსხვერპლის მიმართ, რასაც ხელს უწყობს მოძალადის განსაკუთრებული წვდომა მსხვერპლზე და მსხვერპლის ყოველდღიური რუტინის ცოდნა. ძალადობას ხშირად ადგილი აქვს სახლში, ვინაიდან სახლი წარმოადგენს კონტროლისა და წვდომის სივრცეს. ამავდროულად, ძალადობის შემთხვევაში განსაზღვრული ფაქტორია წვდომა და არა ადგილმდებარეობა, რასაც ადასტურებს ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები, რომლებშიც ფაქტურ ძალადობას ადგილი ჰქონდა სახლის გარეთ.<sup>22</sup>
  11. ოჯახში ძალადობის შემთხვევების უმრავლესობაში, მსხვერპლი ძალადობის შესახებ შეტყობინებაში უთითებს ძალადობის ისტორიაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართალდამცავ ორგანოებს უკვე აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომხდარი არ წარმოადგენს იზოლირებულ ინციდენტს.<sup>23</sup> რისკის შეფასებისას სასამართლო მართებულად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ცალკე შეტყობინებული ინციდენტების მიჩნევას ზიანის კონტინუუმის შემადგენელ ნაწილად, მიუხედავად არსებული ინტერვალისა.<sup>24</sup> ამავდროულად, სასამართლო და ეროვნული სამართალდამცავი ორგანოები უნდა ითვალისწინებდნენ, რომ ხშირად, ისინი პირველი შეტყობინების საფუძველზე ცალსახად გაფრთხილებული არიან (მაშინაც კი, თუ ასეთი შემთხვევები მომეტებულ სათანადო გულისხმიერებას არ მოითხოვს)<sup>25</sup> იმის შესახებ, რომ ძალადობა იზოლირებულ ინციდენტს არ წარმოადგენს. ასეთ დროს უნდა ჩატარდეს ლეტალურობის რისკის შეფასება.<sup>26</sup>
  12. „გარდაუვალი საფრთხის“ განმარტება წარმოდგენილია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) განმარტებით ბარათში: ‘ოჯახში ძალადობის ნებისმიერი სიტუაცია, რომელშიც ზიანი არის გარდაუვალი ან უკვე მატერიალიზდა და, სავარაუდოდ, განმეორდება’<sup>27</sup> (ხაზგასმა დამატებულია). სასამართლომ მსგავსი ინტერპრეტაცია გამოიყენა ოჯახში ძალადობის საქმეში, რომელიც ფაქტურად შედეგით დასრულდა. კერძოდ, საქმეში *Opuz v Turkey*,<sup>28</sup> სასამართლომ განმარტა: „ურთიერთობების ისტორიის განხილვისას, ნათელი გახლდათ, რომ დამნაშავეს ჰქონდა ოჯახში ძალადობის წინარე შემთხვევები და, შესაბამისად არსებობდა მომავალი ძალადობის მნიშვნელოვანი საფრთხე,“ ხოლო ძალადობა მიჩნეული უნდა იქნას, როგორც ურთიერთდაკავშირებული მოვლენების ერთობლიობა. მოსამართლე პინტო დე ალბუკერკი იმეორებს სტამბოლის კონვენციის განმარტებას და საკუთარ მოსაზრებაში აცხადებს, რომ „გამეორება და ესკალაცია, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევების უმრავლესობას ახასიათებს, გარდაუვალი საფრთხის არსებობის მოთხოვნას, გარკვეულწილად, ხელოვნურს და დამზიანებელსაც კი ხდის. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საფრთხე, შესაძლოა, არ იყოს გარდაუვალი, ეს საფრთხე არსებობის შემთხვევაში უკვე სერიოზულია.“<sup>29</sup>
  13. ოსმანის ტესტის ინტერპრეტაცია, სადაც კონტექსტი გადამწყვეტია საფრთხის შეფასებისას, სასამართლოსათვის სიახლეს არ წარმოადგენს. სასამართლო ამ ტესტს იყენებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის საქმეებში<sup>30</sup> და უკვე გამოიყენა ოჯახში ძალადობის შემთხვევებში.<sup>31</sup> ამასთან, სასამართლომ, ოსმანის ტესტი დაკმაყოფილებულად მიიჩნია საფრთხის „რეალურობის“ საფუძველზე (პირდაპირი საფრთხის არარსებობის პირობებშიც), ისეთ გარემოებებში, სადაც საფრთხის „გარდაუვალობა“ არც კონკრეტული იყო და არც განსაზღვრადი.<sup>32</sup> იმ არაერთი საქმისგან განსხვავებით, სადაც ოსმანის ტესტი იქნა გამოყენებული, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ცნობილია მოძალადე, მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი (მათ შორის და განსაკუთრებით, არასრულწლოვანი მსხვერპლები).<sup>33</sup> ისევე, როგორც კონტროლის, ზეწოლის, დასჯისა და სამაგიეროს გადახდის გენდერზე დაფუძნებული მოტივი. ოჯახში ძალადობის შემთხვევის სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეტყობინებისთანავე, შეიძლება ითქვას, რომ ზიანი არის „მატერიალიზებული და მიმდინარე,“ ვინაიდან არსებობს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ ზიანს კვლავ ექნება ადგილი, თუ არ იქნება მიღებული პრევენციული ზომები.

# კონსტრუქციული ცოდნისა და სათანადო გულისხმიერების ინტერპრეტაცია ოჯახში ძალადობის კონტექსტში

„იცოდა ან უნდა სცოდნოდა“

14. იმის დასადგენად, სამართალდამცავ ორგანოებს „უნდა სცოდნოდეთ“ თუ არა იმ საფრთხის შესახებ, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრებოდა, სასამართლო ითვალისწინებს არა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც მათ შეატყობინეს, არამედ, იმას, რაც სამართალდამცავ ორგანოებს უნდა სცოდნოდეთ თუ ისინი გამოიჩინდნენ სათანადო გულისხმიერებას, საქმის განსაკუთრებული გარემოებებისა და კონტექსტის გათვალისწინებით.<sup>34</sup> ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოები, მათ შორის, გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი,<sup>35</sup> ადამიანის უფლებათა ინტერ ამერიკული კომისია, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღკვეთის შესახებ კონვენციის ('ბელემ დო პარას კონვენცია') ზედამხედველობის მექანიზმი<sup>36</sup> და გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე<sup>37</sup> მუდმივად აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ გამოიჩინეს სათანადო გულისხმიერებას ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, კერძო სფეროში მოქმედი კერძო აქტორების მიერ ჩადენილი ძალადობის პრევენციის მიზნით, ან არ უზრუნველყოფს ასეთი ძალადობის გამოძიებას და მოძალადის დასჯას ან მსხვერპლისათვის კომპენსაციის მიკუთვნებას, სახელმწიფოს, შესაძლოა, პასუხისმგებლობა დაეკისროს კერძო პირის მიერ განხორციელებული ქმედებების გამო.
15. შესაბამისად, კონსტრუქციული ცოდნის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას სათანადო გულისხმიერების საკითხი. კერძოდ, შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ოჯახში ძალადობის კონკრეტული კონტექსტი, როგორც ეს შემოთ არის განმარტებული, ისევე, როგორც სათანადო გულისხმიერების მოთხოვნა ოჯახში ძალადობის შემთხვევის სწრაფად გამოძიებისა და მსხვერპლისათვის დაცვის უზრუნველყოფის კუთხით.<sup>38</sup> ნებისმიერმა გამოძიებამ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა ძალადობის ისტორია; მანამდე შეტყობინებული შემთხვევები; მოძალადის ნასამართლობა; იარაღის ფლობა, გამოყენება ან მასზე წვდომა; ძალადობის ჩადენა ბავშვების თანდასწრებით; განხორციელებული მუქარა და ფსიქიკური ჯანმრთელობის/დამოკიდებულების პრობლემების დამადასტურებელი მტკიცებულება, ვინაიდან აღნიშნული მნიშვნელოვანია ლეტალობის რისკის შესაფასებლად.<sup>39</sup> მის გათვალისწინებით, ერთი და იგივე ფაქტები და მტკიცებულება, შესაძლოა, გამოყენებული იქნას როგორც მე-2 ან მე-3 მუხლის მატერიალური ნაწილის დარღვევის, ისე სახელმწიფოს მიერ მანამდე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ადეკვატური საგამოძიებო და დამცავი ზომების მიუღებლობის დასამტკიცებლად, რაც წარმოქმნის კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას.
16. სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „განსაკუთრებული გულისხმიერება“ საჭიროა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას, ხოლო შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს ოჯახში ძალადობის სპეციფიური ბუნების გათვალისწინებით.<sup>40</sup> ამასთან, საერთაშორისო და რეგიონული ორგანოების თანახმად, სახელმწიფოს მიერ სათანადო გულისხმიერების მოვალეობის შეუსრულებლობა ხელს უწყობს დაუსჯელობის სინდრომის ჩამოყალიბებას:
  - a. CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35: სახელმწიფო მხარის მიერ სათანადო ზომების მიღების მოვალეობის შეუსრულებლობა, ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის აღსაკვეთად მაშინ, როდესაც შესაბამისმა ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდეთ ძალადობის საფრთხის შესახებ, ან გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და დამნაშავეის დასჯის მოვალეობის შეუსრულებლობა, ან მსგავსი ქმედების მსხვერპლის/დაზარალებულისათვის კომპენსაციის მინიჭების მოვალეობის შეუსრულებლობა ახდენს ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევების წახალისებას და ირიბ ნებართვას იძლევა. მსგავსი უმოქმედობა და მოვალეობების შეუსრულებლობა ადამიანის უფლებების დარღვევას წარმოადგენს.<sup>41</sup>
  - b. გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე: ოჯახში ძალადობა წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას ან წამებას როდესაც სახელმწიფო მდუმარედ ხელს უწყობს აკრძალულ ქმედებას და მსხვერპლს არ იცავს იმ აკრძალული ქმედებებისგან, რომლის შესახებაც მას ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა ინფორმაცია, კერძო სფეროში. ... სახელმწიფოებს საერთაშორისო დონეზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა წამებისთვის, თუ ისინი - ინდიფერენტულობით, უმოქმედობით ან პროკურატურის თუ სასამართლოს პასიურობით - არ ახორციელებენ სათანადო გულისხმიერების მოვალეობას, მსგავსი ძალადობისგან დასაცავად, ან როდესაც ოჯახში ძალადობის ლეგიტიმიზაციას ახდენენ იმით, რომ, მაგალითად, ქმრებს აძლევენ ცოლების „დასჯის“ უფლებას ან არ ახდენენ მეუღლის მიერ გაუპატიურების, იმ ქმედებების კრიმინალიზაციას, რომელიც, შესაძლოა, წარმოადგენდეს წამებას.<sup>42</sup>





- c. ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია: ‘...სასამართლოს ზოგადი და დისკრიმინაციული არაეფექტიანობა, ასევე, ქმნის ოჯახში ძალადობის ხელშემწყობ კლიმატს, ვინაიდან საზოგადოება ვერ ხედავს რაიმე მტკიცებულებას იმისა, რომ სახელმწიფოს, როგორც საზოგადოების წარმომადგენელს, გააჩნია აღნიშნული დანაშაულის ჩამდენთა მიმართ ეფექტიანი ქმედებების მიღების ნება.’<sup>43</sup>
17. მსგავს დაუსჯელობას გმობს ევროპული სასამართლო: „... ადგილობრივი ხელისუფლების ზოგადი დამოკიდებულება - როგორცაა ის, თუ როგორ ეპყრობიან პოლიციის განყოფილებაში ქალებს, რომლებიც ახდენენ ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებას, და სასამართლოს პასიურობა მსხვერპლებისათვის ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფის კუთხით - ქმნის ოჯახში ძალადობის ხელშემწყობ გარემოს.“<sup>44</sup> ამასთან, სასამართლომ არაერთ შემთხვევაში დაადგინა, რომ მაშინაც კი, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები არ იჩენენ სრულ პასიურობას, ისინი ვერ ასრულებენ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებს, თუ მათ მიერ განხორციელებულმა ზომებმა ვერ უზრუნველყო მოძალადის მიერ მსხვერპლის მიმართ განმეორებითი ძალადობის ჩადენის პრევენცია.<sup>45</sup>
18. სასამართლოს ან გამოძიების „პასიურობა“ დამაბნეველად რბილი ტერმინია (ალტერნატიული განმარტებები ინდეფერენტულობა, მიმღებლობა, მდუმარე თანხმობა), რომელიც უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ პოლიცია და პროკურატურა დაცვის პოზიტიურ მოვალეობებს არღვევს უმოქმედობით, ხოლო ხშირად, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა მათ ქმედების განხორციელებას ავალებს. ეს ტერმინი, ასევე, ვერ წარმოაჩენს იმ ქმედებებს და უმოქმედობას, რომელიც „პასიურობას“ შეადგენს: ოჯახში ძალადობის ინციდენტის არ შეტყობინება, გამოძიების არ დაწყება ან გაგრძელება, სამართლებრივი დევნის არ დაწყება, დამცავი ორდერის არ გამოცემა - ყველა ის გადაწყვეტილება, რომელსაც ხშირად მსხვერპლი სამართლებრივი დაცვის სფეროდან გამოყავს და კერძო სფეროში აბრუნებს.
19. Talpis-ის<sup>46</sup> საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ის, რომ სახელმწიფომ ვერ შეაფასა საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ვერ იქნება გამოყენებული არსებული საფრთხის შესახებ არცოდნის გასამართლებლად. აღნიშნულ მიდგომას მხარს უჭერს სტამბოლის კონვენციის 51-ე მუხლი, რომელიც შეეხება რისკის შეფასებას და რისკის მართვას.<sup>47</sup> კონვენციით გათვალისწინებული დაცვის უზრუნველყოფისთვის საზიანო იქნებოდა, სახელმწიფოს რომ შეეძლოს სიცოცხლის დაცვის პასუხისმგებლობისთვის გვერდის ავლა საკუთარი წარმომადგენლების დაუდევრობაზე ან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებზე დაყრდნობით.
20. დიდი პალატა ამჟამად განიხილავს საქმეს Kurt v Austria, რომელმაც შესაძლოა უფრო მეტად მოჰფინოს ნათელი ოჯახში ძალადობის სიტუაციებში ოსმანის ტესტის გამოყენებას.<sup>48</sup> ბევრ ეროვნულ იურისდიქციაში სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიციები და საგამოძიებო პროცედურები შეიცავს დისკრიმინაციულ გენდერულ სტერეოტიპებს. კერძოდ, გაუპატიურების განმარტება შემოიფარგლება მხოლოდ იმ მსხვერპლით, რომელიც ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევს მოძალადეს, რომელიც იყენებს ფიზიკურ ძალას ან ფიზიკური ძალის გამოყენების მუქარას. ამასთან, ზოგიერთი შიდასახელმწიფოებრივი კანონი მოძალადის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად შესაბამის ტვირთს აკისრებს მსხვერპლს, რაც განსაკუთრებით პრობლემურია ოჯახურ ურთიერთობებში, ძალთა არსებული დისბალანსის გათვალისწინებით, ორივე პრობლემა მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის მართლმსაჯულებას.



# სექსუალური ძალადობა

## გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებული განმარტება

21. გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების თანხმობაზე დაფუძნებული განმარტების შემოღების მოთხოვნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში და საერთაშორისო სისხლის სამართალში მყარად დამკვიდრებული პრინციპია. აღნიშნულ მოთხოვნას ადგენს ევროპული სასამართლო<sup>49</sup> და ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტები და მექანიზმები, მათ შორის, CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 35;<sup>50</sup> CEDAW კომიტეტის იურისპრუდენცია;<sup>51</sup> ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის და პრევენციის შესახებ („სტამბოლის კონვენცია“); სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC);<sup>52</sup> ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო (ინტერ-ამერიკული სასამართლო);<sup>53</sup> რუნდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი (ICTR);<sup>54</sup> ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ICTY);<sup>55</sup> და MESECVI-ის ექსპერტთა კომიტეტის ანგარიში სექსუალური ძალადობისა და არასრულწლოვანთა ორსულობის შესახებ ბელემ დო პარას კონვენციის ხელისშემკვრელ სახელმწიფოებში.<sup>56</sup>
22. ადამიანის უფლებათა სტანდარტების სფეროში მნიშვნელოვან განვითარებებს აქვს ადგილი, რომელიც განამტკიცებს და უფრო დეტალურად განმარტავს ევროპული სასამართლოს მიერ 2003 წელს საქმეში *M.C. v. Bulgaria* განვითარებულ მიდგომას, რომელიც შეეხება გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებულ განმარტებას და მის გამოძიებას. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, განაცხადა: „პრაქტიკაში, შესაძლოა, რთული იყოს თანხმობის არარსებობის დამტკიცება გაუპატიურების ისეთი «პირდაპირი» მტკიცებულების არარსებობის პირობებში, როგორცაა ძალადობის კვალი ან პირდაპირი მოწმეები. მიუხედავად ამისა, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ ყველა ფაქტი და გადაწყვეტილება მიიღონ გარემომცველი პირობების შეფასების საფუძველზე.“<sup>57</sup>
23. სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლი ითვალისწინებს სექსუალური ძალადობის, მათ შორის, გაუპატიურების განმარტებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები ვალდებული არიან, მოახდინონ ქვეყნის შემდეგი ფორმების კრიმინალიზება: „სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით.“ ამასთან, „თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.“
24. სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი მიუთითებს, რომ სექსუალური ხასიათის დანაშაულების, მათ შორის, გაუპატიურების სისხლისსამართლებრივი დევნა მოითხოვს „მტკიცებულებათა შეფასებას კონტექსტის გათვალისწინებით, რათა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს, გასცა თუ არა დაზარალებულმა ნებაყოფლობითი თანხმობა სექსუალურ აქტზე.“ ამასთან, შეფასების დროს უნდა მოხდეს იმის გათვალისწინება, რომ „სექსუალურ ძალადობაზე მსხვერპლები სხვადასხვა გვარად რეაგირებენ და სამართალდამცავი ორგანოები არ უნდა ხელმძღვანელობდნენ ვარაუდით, რომ სექსუალური ძალადობის დროს მოსალოდნელია მსხვერპლისთვის დამახასიათებელი მხოლოდ რაიმე სახის ქცევა.“
25. CEDAW კომიტეტი საქმეში *Vertido v Philippines* შემდეგ რეკომენდაციას იძლევა:
- (i) გადაიხედოს გაუპატიურების განმარტება კანონმდებლობაში, რათა თანხმობის არ არსებობა გახდეს ამოსავალი წერტილი;
- (ii) ამოღებული იქნას კანონმდებლობაში არსებული ნებისმიერი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სექსუალური ძალადობა ჩადენილი უნდა იქნას იძულების ან ძალადობის გამოყენებით და პენეტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულების ნებისმიერი მოთხოვნა და მინიმუმამდე დაიყვანოს სამართალწარმოების დროს მომჩივნის/ დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის შესაძლებლობა სექსუალური ძალადობის ისეთი განმარტების შემუშავების მეშვეობით, რომელიც: ა. ითვალისწინებს „ცალსახა და ნებაყოფლობით თანხმობას“ და მტკიცებულებებს იმის თაობაზე, თუ ბრალდებულმა რა ნაბიჯები გადადგა იმაში დასარწმუნებლად, რომ მსხვერპლი თანახმა იყო; ბ. ითვალისწინებს გაუპატიურების ჩადენას „მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებში“ და ამგვარი გარემოებების ფართო სპექტრს.<sup>58</sup>
- კომიტეტმა დაადგინა, რომ მსხვერპლის თანხმობა არ უნდა იქნას ნაგულისხმევი იმ შემთხვევაში, თუ იგი არასასურველ სექსუალურ ქცევას ფიზიკურად არ ეწინააღმდეგება, „იმის მიუხედავად, მოძალადემ გამოიყენა თუ არა ფიზიკური ძალა ან დაემუქრა თუ არა მსხვერპლს ფიზიკური ძალის გამოყენებით.“<sup>59</sup>
26. CEDAW კომიტეტი სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ, რომ „სექსუალური ხასიათის დანაშაულების განმარტებები, მათ შორის გაუპატიურება ჩადენილი მეუღლის და ნაცნობის/პარტნიორის მხრიდან, ითვალისწინებდეს მსხვერპლის თავისუფლად გამოსატული თანხმობის არარსებობას და მხედველობაში იღებდეს მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებს.“<sup>60</sup>

27. 2019 წლის 22 ნოემბერს, გაეროს და რეგიონულ დონეზე ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა უფლებების შვიდი დამოუკიდებელი მექანიზმის პლატფორმამ წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა გაუპატიურების ისეთი განმარტების დანერგვისკენ, რომელიც ეფუძნება თანხმობას და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.<sup>61</sup>

## თანხმობის ინტერპრეტაცია მონყველად მდგომარეობაში მყოფ პირებთან მიმართებით, მათ შორის, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში

28. ოჯახში ძალადობა, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური გავლენიდან გამომდინარე, მსხვერპლს აყენებს მონყველად მდგომარეობაში. სექსუალური აქტის დროს თანხმობის არსებობის შეფასება აღნიშნულ ფაქტორს სრულად უნდა ითვალისწინებდეს და ეყრდნობოდეს.
29. საქმეში E.B v Romania, რომელშიც ციტირებულ იქნა საქმე M.C. v Bulgaria, სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც სადაოა საქმის გარემოებები, საჭიროა „მიცემული ახსნა-განმარტების სანდოობის და ყველა თანმდევი გარემოების შეფასება არსებული კონტექსტის გათვალისწინებით.“<sup>62</sup> ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მომჩივნის პირადი გარემოებები და მდგომარეობა შეაფასოს საგამოძიებო ორგანოებმა, რაც სახელმწიფოს სათანადო გულისხმიერების მოვალეობის შემადგენელი ნაწილია. აღნიშნული მომჩივნის მიერ სექსუალურ აქტზე თანხმობის გაცემის შესაძლებლობისა და უნარის უფრო საფუძვლიანი შეფასების შესაძლებლობას იძლევა. სასამართლომ დაგმო ის ფაქტი, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ არ ყოფილა გათვალისწინებული არც მომჩივნის პირადი გარემოებები და არც ინციდენტის გარემოებები.<sup>63</sup> ამასთან, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომჩივნის მიერ წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე არ უნდა მოხდეს ზედმეტად აქცენტირება.<sup>64</sup>
30. სექსუალური ძალადობის შესახებ ჰააგის პრინციპებში (2019)<sup>65</sup> იდენტიფიცირებულია ის ფაქტორები, რომელიც სექსუალურ აქტთან დაკავშირებით ნამდვილი, ნებაყოფლობითი, კონკრეტული და მიმდინარე თანხმობის არსებობის შეფასებისას უნდა იქნას გათვალისწინებული.<sup>66</sup> იმ არა-ამომწურავი ფაქტორების ჩამონათვალი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას თანხმობის არსებობის შეფასებისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ითვალისწინებს „არათანაბარ ურთიერთობას მოძალადესა და მსხვერპლს შორის, სხვადასხვა შესაძლო ფაქტორებიდან გამომდინარე“, მათ შორის, მოძალადის მიერ მსხვერპლის ან მესამე პირის მიმართ წარსულში ძალადობის გამოყენება, მოძალადის მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის სასჯელის სახით,<sup>67</sup> და ისეთი სიტუაცია, სადაც მოძალადის მიერ შექმნილი ტერორის გარემომცველი კონტექსტის საფუძველზე არსებობს სექსუალური ძალადობის განცდის გონივრული შიში.<sup>68</sup> აღნიშნული ნების დამთრგუნველი გარემოებები, ოჯახში ძალადობის კონტექსტთან ერთად, მიუთითებს იმას, რომ თავისუფალი თანხმობის არსებობა ვერ იქნება დაშვებული მონყველად მდგომარეობაში მყოფ პირთან მიმართებით.<sup>69</sup>
31. მეუღლეებს შორის თანხმობის პრეზუმფციით ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია ოჯახში ძალადობის ფაქტი, არღვევს ქალის ავტონომიის, უსაფრთხოებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას. ურთიერთობებში არსებული ძალთა უთანასწორო დინამიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცოლი მუდმივად განიცდის მუქარას და ადგილი აქვს ძალადობის დემონსტრაციას, სახელმწიფო ვალდებულია, ნამდვილი თანხმობის არსებობა შეაფასოს აღნიშნული ნების დამთრგუნველი კონტექსტების გათვალისწინებით. ასეთ კონტექსტში გაუპატიურება არ უნდა იქნას მიჩნეული, როგორც „ცალკე ინციდენტი,“ რომელიც ოჯახში ძალადობის მიღმა ხდება, არამედ, ძალადობის განგრძობითობა და კულმინაცია გაუპატიურებაში, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს კონტროლის, დომინირების და სუბორდინაციის აქტს (გარდა მკვლელობისა).
32. ზემოაღნიშნულ სტანდარტებზე დაყრდნობით, ნების დამთრგუნველი ქცევის მტკიცებულება, რაც ოჯახში ძალადობის სიტუაციებში არსებობს, ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, რომელსაც შესაბამისი ორგანოები უნდა დაეყრდნონ თანხმობის ინტერპრეტაციისას, როდესაც საქმე ეხება მეუღლის მიერ გაუპატიურებას. ნების დამთრგუნველი ქცევა, შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ხელშეუხებლობას. მოძალადესა და მსხვერპლს შორის არსებული ძალთა დისბალანსის დამადასტურებელი მტკიცებულება მნიშვნელოვანია ნების დამთრგუნველი ქცევის არსებობის შესაფასებლად, რამაც, შესაძლოა, ძალა დაუკარგოს თანხმობას. ძალთა დისბალანსი, შესაძლოა, სხვადასხვა სიტუაციებიდან გამომდინარეობდეს, მათ შორის, იმ სიტუაციებიდან, სადაც შესაბამის პირი რაიმე ფორმით დამოკიდებულია მოძალადეზე (ოჯახური ან პირადი, ფინანსური, სამართლებრივი ან პროფესიული დამოკიდებულება).

# მეუღლის მიერ გაუპატიურების კრიმინალიზებისა და მისი დამამძიმებელ გარემოებად განხილვის აუცილებლობა

33. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები ხაზს უსვამს სახელმწიფოების მოვალეობას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ოჯახურ გარემოში ჩადენილ დანაშაულებს, მათ შორის, მეუღლის მიერ გაუპატიურების შემთხვევებს. სტამბოლის კონვენციის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში, დამამძიმებელ გარემოებად უნდა იქნას განხილული, თუ „დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, ოჯახის წევრის მიერ, მსხვერპლთან ერთად მცხოვრები პირის მიერ ან პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება“.<sup>70</sup>
34. CEDAW-ს კომიტეტმა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს კონკრეტულად მოუწოდა მეუღლის მიერ გაუპატიურების კრიმინალიზებისკენ, მათ შორის ყირგიზეთს (2018),<sup>71</sup> ტაჯიკეთს (2018),<sup>72</sup> ბელარუსს (2016),<sup>73</sup> ლატვიას (2014)<sup>74</sup> და ლიეტუვას (2014).<sup>75</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში, რომლებიც წარსულში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ, მოქმედებს სექსუალური ძალადობის დანაშაულის მსგავსი დეფინიციები და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მსგავსი სისტემები.
35. ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (“GREVIO”), ასევე, აღიარებს, რომ სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება „ძალადობრივ ურთიერთობებში ძალაუფლების და კონტროლის განხორციელების ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს და მას, როგორც წესი, ადგილი აქვს ურთიერთობის მიმდინარეობისას ან დასრულების შემდგომ. უარესად მნიშვნელოვანია მსგავსი ქმედებების კრიმინალიზაციისა და სისხლისსამართლებრივი დევნისას გამოწვევების დაუშვებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ქმედებები ხორციელდება არსებული ან ყოფილი მეუღლის ან პარტნიორის წინააღმდეგ.“<sup>76</sup> ამასთან, GREVIO-მ აღბანეთში არსებული მდგომარეობის შეფასებისას გასცა რეკომენდაცია, რომ „სექსუალური ძალადობა უნდა მოიცავდეს ოჯახში ჩადენილ სექსუალურ ძალადობას,“ ვინაიდან ისტორიულად „არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა პირდაპირ ან ირიბად ამართლებს გაუპატიურებას მეუღლის მიერ.“<sup>77</sup>
36. გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტი ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ<sup>78</sup> სახელმწიფოებს კონკრეტულად მოუწოდებს ურთიერთობებში სექსუალური ძალადობის კრიმინალიზებისკენ, მეუღლის მიერ გაუპატიურების ჩათვლით და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ნების დამთრგუნველი გარემოებების ფართო სპექტრი და „არ უნდა გააკეთონ აქცენტი ძალის ან ძალადობის გამოყენებაზე.“<sup>79</sup>
37. 2019 წლის 22 ნოემბერს, გაეროს და რეგიონულ დონეზე ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა უფლებების შვიდი დამოუკიდებელი მექანიზმის პლატფორმამ ყველა სახელმწიფოს მოუწოდა „ქორწინებაში გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის ცალსახად კრიმინალიზებისკენ.“<sup>80</sup>

## ოჯახში ძალადობის, გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულებებზე საჯარო/ex officio სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების აუცილებლობა

38. საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების, მათ შორის, ევროპული სასამართლოს პრევენციული სამართლის<sup>81</sup> და სტამბოლის კონვენციის<sup>82</sup> თანახმად, შესაბამისმა ორგანოებმა გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა შემთხვევაზე სერიოზული რეაგირება უნდა უზრუნველყონ, მათ შორის, ex officio (სახელმწიფოს მიერ) სისხლისსამართლებრივი დევნის საშუალებით, რათა მართლმსაჯულებაზე წვდომა უზრუნველყოფილი იქნას. ვინაიდან სექსუალური ძალადობა განსაკუთრებულ ტრავმას იწვევს, აღნიშნული სტანდარტების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ დაზარალებულებს არ დაეკისროთ სისხლის სამართლის საქმის ხანგრძლივი წარმოების ტვირთი და მოძალადეები პასუხისგებაში მიეცენ.<sup>83</sup>
39. CEDAW კომიტეტის N35 ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, სახელმწიფოებმა „უნდა უზრუნველყონ მსხვერპლთა ეფექტური წვდომა სასამართლოებზე და ტრიბუნალებზე; შესაბამისი ორგანოების მიერ ადეკვატური რეაგირება გენდერის ნიშნით ჩადენილ ძალადობაზე ქალების მიმართ, მათ შორის, სისხლის სამართლის გამოყენებით და, საჭიროების შემთხვევაში, ex officio სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებით, რათა მოხდეს სავარაუდო მოძალადეთა პასუხისგებაში მიცემა სამართლიანად, მიუკერძოებლად, დროულად და სწრაფად და შეეფარდოთ მათ ადეკვატური სანქციები.“<sup>84</sup>

40. რუსეთთან დაკავშირებით, საქმეში *O.G. v. the Russian Federation*, CEDAW-ს კომიტეტმა მიიჩნია: „ის ფაქტი, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი იძულებულია, მიმართოს კერძო სისხლისსამართლებრივ დევნას, რომლის დროსაც მტკიცების ტვირთი მთლიანად მას ეკისრება, მსხვერპლს მართლმსაჯულებაზე წვდომას ართმევს.“<sup>85</sup> კომიტეტმა რუსეთს მიმართა რეკომენდაციით, „მიიღოს ქალთა მიმართ ძალადობასთან, მათ შორის, ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის და პრევენციის კომპლექსური კანონმდებლობა, [და] დაენერგოს ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის *ex officio* სამართლებრივი დევნა“.<sup>86</sup> რუსეთის მერვე პერიოდული ანგარიშის შესახებ დასკვნით რეკომენდაციებში, CEDAW კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა, შემოეღო „ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის *ex officio* სისხლისსამართლებრივი დევნა“.<sup>87</sup> წამების წინააღმდეგ კომიტეტმა, რუსეთის ფედერაციის მეექვსე პერიოდული ანგარიშის შესახებ დასკვნით რეკომენდაციებში შეშფოთება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდების მაჩვენებელი გაუპატიურების საქმეებში არის ძალიან დაბალი და სახელმწიფოს მოუწოდა, უზრუნველყოს პოლიციის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ბრალდებების დარეგისტრირება და სწრაფად, მიუკერძოებლად და ეფექტიანად გამოძიება.<sup>88</sup> აეროს სპეციალურმა მომსახურებელმა წამების საკითხებზე, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ “როდესაც სახელმწიფომ იცის ან უნდა სცოდნოდეს, რომ ქალი საფრთხეშია, მან უნდა გადადგას პოზიტიური ნაბიჯები მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მაშინაც კი, თუ ქალი ყოყმანობს სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმას“.<sup>89</sup>
41. სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებული მოწყველადობა ნიშნავს იმას, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა შეაფასონ, თუ რამდენად საჭიროა უფრო მკაცრი მიდგომა და „საკუთარი ნიციბუთით გამოიკვლიონ ქმედების განხორციელების საჭიროება.“<sup>90</sup> საქმეში *Opuz v Turkey*, სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, გაგრძელდეს თუ არა სისხლის სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის ჩამდენთა წინააღმდეგ, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა განიხილონ რიგი ფაქტორები, მათ შორის: სამართალდარღვევის სერიოზულობა; მოძალადემ დაგეგმა თუ არა თავდასხმა; მოძალადემ განახორციელა თუ არა მუქარა თავდასხმის შემდეგ; მოძალადის მიერ თავდასხმის გამეორების ალბათობა; „რაც უფრო სერიოზულია დანაშაული ან დიდი მომავალი დანაშაულების ჩადენის საფრთხე, მით უფრო გონივრულია, რომ პროკურატურამ განაგრძოს საქმის წარმოება საჯარო ინტერესების დასაცავად იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მსხვერპლი უკან გამოიხმობს წარმოდგენილ საჩივრებს.“<sup>91</sup> სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა უნდა გავრცელდეს როგორც გაუპატიურების, ისე მეუღლის მიერ გაუპატიურების საქმეებზე. ამასთან, სასამართლომ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ „ოჯახში ძალადობის კონტექსტში ... კერძო სამართლებრივი დევნის დაწყების შესაძლებლობა არ არის საკმარისი.“<sup>92</sup>



დისკრიმინაცია

# ოჯახში ძალადობისა და გაუპატიურების შესახებ საჩივრებში დისკრიმინაციის საკითხის განხილვის აუცილებლობა, კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად

42. სასამართლო საჩივარს მე-14 მუხლის ჩრილში განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მნიშვნელოვანი სამართლებრივი მიზეზი რათა გაირკვეს, განიცადა თუ არა დისკრიმინაცია მომჩივანმა, ან თუ უთანასწორო მოპყრობა წარმოადგენს საქმის ფუნდამენტურ ასპექტს.<sup>93</sup> if there is an important legal purpose to determining whether the applicant has suffered discrimination, or if inequality of treatment is a *fundamental aspect* of the case.<sup>94</sup> უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევები - მათ შორის, გაუპატიურების და მეუღლის მიერ გაუპატიურების შემთხვევები - განხილულ იქნას მე-14 მუხლის ჩრილში, ვინაიდან დისკრიმინაცია ამგვარი ძალადობის ფუნდამენტური ასპექტია და მისი აღიარება წარმოადგენს ამგვარი ძალადობის მიზეზების, შედეგების, გადაჭრის გზებისა და გავლენის იდენტიფიცირების წინაპირობას.
43. დამკვიდრებული მიდგომის თანახმად, რომელსაც ევროპული სასამართლოც ავითარებს, გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა „წარმოადგენს ქალის მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას.“<sup>95</sup> გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა „ქალების მიერ ადამიანის უფლებებით და ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობას აფერხებს ან შეუძლებელს ხდის.“ ამგვარად, იგი ხვდება CEDAW-ს 1-ლი მუხლის თანახმად აკრძალული დისკრიმინაციის ქვეშ.<sup>96</sup> CEDAW კომიტეტმა 35-ე ზოგად რეკომენდაციაში აღნიშნა, რომ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის აკრძალვა ჩამოყალიბდა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთ პრინციპად.<sup>97</sup> საერთაშორისო სამართალში მკაფიოდ არის დადგენილი, რომ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა, შესაძლოა, უტოლდებოდეს წამებას და სასტიკ, არაადამიანურ ან პატივისა და ღირსების შემლახავ მოპყრობას, მათ შორის, გაუპატიურების შემთხვევებში, ხოლო გენდერულად სენსიტიური მიდგომა აუცილებელია, რათა დადგინდეს, თუ რა დონის ტანჯვა და ტკივილი განიცადეს ქალებმა.<sup>98</sup>
44. სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ [არსებითი გენდერული თანასწორობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კონვენციის დებულებების გენდერულად სენსიტიური ინტერპრეტაციითა და გამოყენებით.“<sup>99</sup> სასამართლოს თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში ძალადობის პრობლემის მასშტაბის და სერიოზულობის არ შეფასება წარმოადგენს არა მხოლოდ ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების მოვალეობის შეუსრულებლობას და გაჭიანურებას, არამედ, ხელს უწყობს ამგვარ ძალადობას და წარმოადგენს დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას მსხვერპლების მიმართ, მათი სქესის გამო.<sup>100</sup>
45. შესაბამისად, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ ოჯახში ძალადობაზე, მათ შორის, მეუღლის მიერ გაუპატიურებაზე რეაგირება მოიცავდეს გენდერულ პერსპექტივას, ვინაიდან ოჯახში ძალადობის მიზეზებზე და მანიფესტაციებზე ეფექტიანად რეაგირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირებს, რომელთაც ევალებათ ოჯახში ძალადობის პრევენცია, ესმით მისი გენდერული ბუნება. გენდერული პერსპექტივის გამოყენება საჭიროებს განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას არა მხოლოდ ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებულ სტრუქტურულ უთანასწორობებზე, არამედ, ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მწვავე მოწყველობაზე და გენდერზე დაფუძნებულ სტერეოტიპებზე, რომელიც ხშირად ჩანს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და ექვმიტანილთა ქცევაში, მათ შორის, მეუღლის მიერ გაუპატიურების შემთხვევებში. შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს და სასამართლოებს, ისევე, როგორც რეგიონულ და საერთაშორისო სასამართლოებს და მექანიზმებს აქვთ ვალდებულება, მოახდინონ გენდერული პერსპექტივის ინტეგრაცია ყველა იმ საკითხებში, რომელიც შეეხება ოჯახში ძალადობას, რათა ძალადობის სისტემურ ბუნებასთან ბრძოლა იყოს ეფექტიანი.
46. გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ევროპული სასამართლოს მკაფიოდ დადგენილი პრინციპები,<sup>101</sup> ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა სხვა მექანიზმების მიერ დადგენილი პრინციპები, რომლის თანახმადაც ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმას და ძალთა დისბალანსისა და საზოგადოებაში ქალის დაქვემდებარებული მიდგომარეობის ისტორიულად დამკვიდრებული აღქმის შედეგს,<sup>102</sup> კერძოდ:
- სტამბოლის კონვენცია: “ქალთა მიმართ ძალადობა არის ისტორიულად ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალთა უთანასწორობის გამოვლენა, რამაც მიგვიყვანა მამაკაცების მხრიდან ქალების მიმართ დისკრიმინაციამდე და მათზე დომინირებამდე და ხელი შეუშალა ქალების სრული თანასწორუფლებიანობის განხორციელებას“; [ხელისშემკვრელი სახელმწიფოები] აღიარებენ „ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის სტრუქტურულ ბუნებას და იმას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი ის მთავარი სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი არიან, დაიკავონ მამაკაცებთან შედარებით დაქვემდებარებული მიდგომარეობა.“<sup>103</sup>
  - CEDAW კომიტეტი: “ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა ფესვგადგმული [იყო] გენდერთან დაკავშირებულ ფაქტორებში, როგორიცაა იდეოლოგია, რომლის თანახმადაც მამაკაცებს ქალებზე მეტი



უფლებები და პრივილეგიები აქვთ, მასკულინობასთან დაკავშირებულ სოციალურ ნორმებში, მამაკაცის მიერ კონტროლის და ძალაუფლების დამტკიცების, გენდერული როლების გამყარების ან ქალებისათვის მიუღებელი ქცევის პრევენციის, აღკვეთის ან დასჯის საჭიროებაში. აღნიშნული ფაქტორები, ასევე, ხელს უწყობს გენერის ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის - რომელიც კვლავ პირად საქმედ მიიჩნევა - პირდაპირ ან ირიბ მიმღებლობას საზოგადოების მხრიდან და ფართოდ გავრცელებულ დაუსჯელობას.<sup>104</sup>

- გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე: „გენდერული პერსპექტივის სრული ინტეგრაცია წამებისა და არასათანადო მოპყრობის ანალიზში უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა სრულად იქნას აღიარებული გენდერთან და სექსუალობასთან დაკავშირებულ დისკრიმინაციულ სოციალურ ნორმებში ფესვგადგმული ძალადობა, მოხდეს მასზე რეაგირება და მისი აღმოფხვრა.“<sup>105</sup>

## სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-14 მუხლით, მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთობლიობაში

47. გენდერის ნიშნით დისკრიმინაციას სხვადასხვა დონეზე აქვს ადგილი: მოძალადის ქმედებების გენდერული მოტივიდან დაწყებული, პოლიციის, გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეების ცალსახად დისკრიმინაციული კომენტარებით, შეტყობინების არასერიოზულად მიღებით, სამართლებრივი დაცვის არ შეთავაზებითა და სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმით დამთავრებული. მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს და ერთმანეთისგან განირჩეს სხვადასხვა ორგანოების მიერ ჩადენილი სხვადასხვა დისკრიმინაციული ქმედებები. დღემდე სასამართლოს პრაქტიკა ამ ტიპის საქმეების მიმართ მე-14 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით არის არაერთგვაროვანი. ზოგადად, სასამართლო ითხოვს ეროვნულ დონეზე სისტემატური დისკრიმინაციის დამადასტურებელ მტკიცებულებას, აღნიშნული დანაშაულების გამოძიებასთან და სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით - როგორცაა, მაგალითად, ეროვნული და საერთაშორისო ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები, განსაკუთრებით მაშინ, თუ არ არსებობს დისკრიმინაციის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულება.<sup>106</sup>
48. ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნას, არსებობს თუ არა რაიმე დამატებითი ნიშნები დისკრიმინაციისა, რამაც შესაძლოა გააძვავოს მსხვერპლის მოწყველადობა. დანაშაულის ქალი მსხვერპლები შესაძლოა განიცდიდნენ მრავლობით დისკრიმინაციას იმ ფაქტორების გამო, რომელიც ზრდის მათ მარგინალიზაციას, ეთნიკური წარმომავლობის, რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის ჩათვლით, ან იმის გამო, რომ ისინი ცხოვრობენ სოფლად ან აბორიგენულ თემში, ან იმიგრანტის სტატუსი აქვთ.<sup>107</sup>
49. მკაფიოდ არის დადგენილი, რომ შესაბამისი ორგანოები ვალდებულები არიან, ჩაატარონ სავარაუდო ძალადობის „ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება“, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადობა განხორციელდა კერძო აქტორების მიერ.<sup>108</sup>
50. ევროპული სასამართლოს თანახმად, როდესაც „თავდასხმა მოტივირებულია რასობრივი წარმომავლობის ნიშნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოძიება იყოს მძლავრი და მოუკერძოებელი, ხაზს უსვამდეს, რომ საზოგადოება გმობს რასიზმს, ხოლო უმცირესობებს უნარჩუნებდეს ნდობას, რომ საჯარო ორგანოები შეძლებენ მათ დაცვას რასისტული ძალადობის საფრთხისგან.“<sup>109</sup> ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ ანალოგიური მიდგომა გამოიყენა სათანადო გულისხმიერების მოვალეობის ფარგლების შესახებ მსჯელობისას, გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ეფექტიანი გამოძიების მოვალეობის „მოქმედების სფერო უფრო ფართოა, როდესაც საქმე ეხება ქალს, რომელიც მოკლეს ან არასათანადოდ ეპყრობოდნენ, რომლის პირად თავისუფლებაზე გავლენას ახდენს ქალთა მიმართ ძალადობის ზოგადი კონტექსტი.“<sup>110</sup> ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „როდესაც ქალის მიმართ ადგილი აქვს ძალადობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო ორგანოებმა ჩაატარონ მტკიცე და ეფექტიანი გამოძიება, მხედველობაში მიიღონ საზოგადოების მოვალეობა, უარყოს ქალთა მიმართ ძალადობა და სახელმწიფოს მოვალეობა, აღკვეთოს აღნიშნული და მოიპოვოს მსხვერპლთა ნდობა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები შეძლებენ მათ დაცვას.“<sup>111</sup> სასამართლო რუტინულად უნდა ახდენდეს იმის შეფასებას, თუ რამდენად ითვალისწინებს გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევის გამოძიება ამგვარი ძალადობისათვის დამახასიათებელ დისკრიმინაციულ მოტივს.
51. გენდერის ნიშნით ჩადენილი გამოძიების ეფექტიანობის შეფასებისას, სასამართლო ითვალისწინებს, თუ რამდენად სწრაფად დაიწყო და დროულად ჩატარდა გამოძიება.<sup>112</sup> გაუპატიურების შესახებ საჩივრის საფუძველზე გამოძიების დაწყების ან არ დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესზე არ მოახდინოს გავლენა დისკრიმინაციულმა სტერეოტიპებმა გაუპატიურების და გაუპატიურების მსხვერპლების შესახებ (იხ. ქვემოთ). CEDAW-ს კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სტერეოტიპების გამოყენება

გავლენას ახდენს ქალების სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, ხოლო სასამართლომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა არ შექმნას ხისტი სტანდარტები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ქალი ან გოგო, რომელიც გაუპატიურების სიტუაციის წინაშე აღმოჩნდა ან როგორ უნდა მოიქცეს იგი, იმ წინასწარ შეხედულებებზე დაყრდნობით, რომელიც განსაზღვრავს გაუპატიურების მსხვერპლს ან, ზოგადად, გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლს.<sup>113</sup>

- 52.** ევროპული სასამართლო, ასევე, მიიჩნევს, რომ სასამართლოს დისკრიმინაციული პასიურობა ქმნის გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის ხელშემწყობ კლიმატს.<sup>114</sup> შესაბამისად, საჭიროა მიღებული გადაწყვეტილებების და უმოქმედობის შეფასება. მაგალითად, გამოძიებაზე ან სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმა „დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო“ (მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალადობისა და მიყენებული ზიანის მკაფიო მტკიცებულება) წარმოადგენს გადაწყვეტილებას და არა უბრალოდ უმოქმედობას, ხოლო ასეთ გადაწყვეტილებაზე ხშირად გავლენას ახდენს გენდერული სტერეოტიპები, რომელიც ახდენს ძალადობის მინიმუმებას, გარკვეულ ჩარჩოში მოქცევას ან გამართლებასაც კი, რის შედეგადაც ძალადობა სისხლის სამართლის კანონით დაცული სფეროს გარეთ ხვდება.
- 53.** საჭიროა გენდერულად სენსიტიური პროცედურების გამოყენება, რათა ყურადღება მიექცეს გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის განსაკუთრებულ ბუნებას და თავიდან იქნას აცილებული ხელახალი ვიქტიმიზაცია და სტიგმატიზაცია. წამებასთან ბრძოლის კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საჩივრების მექანიზმები და გამოძიება მოითხოვს გარკვეულ პოზიტიურ ზომებს, რომელიც მხედველობაში უნდა იღებდეს გენდერულ ასპექტებს,“ რათა ძალადობის მსხვერპლებმა, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, გაუპატიურების, მეუღლის მიერ გაუპატიურების და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებმა შეძლონ დანაშაულის შეტყობინება და დაცვის მექანიზმების მოძიება და მიღება.<sup>115</sup> ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ მოკლედ ჩამოაყალიბა იმ ღონისძიებებთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც საჭიროა გაუპატიურების გამოსაძიებლად და სანდო მტკიცებულების მოპოვების პროცესში ხელახლა ტრავმირების რისკის შესამცირებლად:<sup>116</sup>
- მსხვერპლს ახსნა-განმარტება უნდა ჩამოერთვას უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში, რომელიც მსხვერპლში იწვევს დაცულობის შეგრძნებას და ეხმარება თავდაჯერებულობაში;
  - მსხვერპლის ახსნა-განმარტება ჩაწერილი უნდა იქნას, რათა მას აღარ მოუწიოს ახსნა-განმარტების გამეორება, ან გამეორება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამის მკაფიო აუცილებლობა;
  - მსხვერპლი უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ჰიგიენური მკურნალობით, როგორც გადაუდებელი დახმარების სახით, ისე მუდმივად, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პროტოკოლის საფუძველზე, რომლის მიზანია გაუპატიურების შედეგების შემცირება;
  - სრული და დეტალური სამედიცინო და ფსიქოლოგიური შემოწმება დაუყოვნებლივ უნდა ჩატაროს სათანადოდ მომზადებულმა პერსონალმა. მათი სქესი უნდა აირჩიოს თავად მსხვერპლმა, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს. მსხვერპლს უნდა განემარტოს, რომ სურვილის შემთხვევაში, მას შესაძლებელია, რომ თან ახლდეს მისი ნდობით აღჭურვილი პირი;
  - საჭიროა საგამოძიებო მოქმედებების კოორდინირება და დოკუმენტირება, მტკიცებულებების სიფრთხილით შეგროვება, რაც, მათ შორის, გულისხმობს საკმარისი ნიმუშების აღებას და ყველა შესაძლო ტესტის ჩატარებას, რათა განისაზღვროს ქმედების ჩამდენი, და სხვა მტკიცებულებების მოპოვებას, როგორცაა, მაგალითად, მსხვერპლის ტანსაცმელი, ინციდენტის ადგილის დაუყოვნებლივ დათვალიერებას და მტკიცებულებათა ქრონოლოგიური ჯაჭვის სათანადოდ უზრუნველყოფას; და
  - საკონსულტაციო სერვისებზე წვდომის ან, საჭიროების შემთხვევაში, უფასო სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა სამართალწარმოების ყველა ეტაპზე.
- 55.** სექსუალური ძალადობის და ოჯახში ძალადობის გამოძიებასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული პრაქტიკა, რომელიც ხშირად გვხვდება, აბრკოლებს მართლმსაჯულებაზე წვდომას და საჭიროებს აღმოფხვრას, მოიცავს:
- პოლიციის მიერ შედგენილ ოქმში დანაშაულის მინიმუმება;<sup>117</sup>
  - პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება „დანაშაულის ნიშნების“ არარსებობის თაობაზე, რაც იწვევს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, მტკიცებულებების მიუხედავად;<sup>118</sup>
  - მსხვერპლის რეპუტაციაზე, მათ შორის, მის სექსუალურ ისტორიაზე ხაზგასმა (იხ. სტერეოტიპები ქვემოთ);<sup>119</sup>
  - მსხვერპლის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენება მისი ასაკის, ფსიქიკური ან ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის გამო;<sup>120</sup>

- ძალადობის ინციდენტის დაგვიანებით შეტყობინების გამო დამაზიანებელი დასკვნების გაკეთება (მსხვერპლის რეაგირებასთან დაკავშირებული სტერეოტიპებიდან გამომდინარე);<sup>121</sup>
- სექსუალური ძალადობის თაობაზე გამამყარებელი მტკიცებულების მოთხოვნა (და ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმა);<sup>122</sup>
- პოლიციის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ოჯახში ძალადობა ან მეუღლის მიერ გაუპატიურება პირადი/ოჯახური საქმეა;<sup>123</sup>
- მსხვერპლის და მოძალადის მორიგების ოფიციალური მცდელობები;<sup>124</sup>
- ისეთი ღონისძიებები, როგორცაა 'დაპირისპირება' და 'საგამოძიებო ექსპერიმენტი' (რა დროსაც მსხვერპლს მოეთხოვება დანაშაულის ადგილზე დაბრუნება და მომხდარის ხელახლა განცდა), რაც ხელახალ ტრავმას აყენებს მსხვერპლს, აქვს საეჭვო მტკიცებულებითი ღირებულება ან საერთოდ არ აქვს ასეთი ღირებულება;
- სხეულის ინვაზიური შინაგანი გამოკვლევები რომელიც აუცილებლობას არ წარმოადგენს და არ აქვს მტკიცებულებითი ღირებულება.

56. იმისათვის, რომ გამოძიება იყოს გენდერულად სენსიტიური და ითვალისწინებდეს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის სპეციფიურ ბუნებას, გამოძიებას უნდა ახორციელებდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომელთაც გავლილი აქვთ კომპლექსური მომზადება. გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ხასგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა მოსამართლეებმა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა გაიარონ მომზადება „გენდერის ნიშნით მოტივირებული ძალადობის სხვადასხვა ფორმებთან დაკავშირებული რეალობების შესახებ“ და შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო კანონების, მათ შორის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) და CEDAW-ს კომიტეტის პრეცედენტების შინაარსისა და გამოყენების შესახებ.<sup>125</sup> კერძოდ, გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ ტრენინგი ინტეგრირებული უნდა იქნას პოლიციელთათვის განკუთვნილ ტრენინგებში, რათა აღმოფხვრას პოლიციელთა მიერ ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ არასათანადო მოპყრობა და მიკერძოება.<sup>126</sup> CEDAW-ს კომიტეტმა რუსეთის ფედერაციას მოუწოდა უზრუნველყოს „სავალდებულო ტრენინგი მოსამართლეების, პროკურორების, პოლიციელებისა და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომლებისათვის, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დებულებების მკაცრად გამოყენების და ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ გენდერულად მგრძობიარე პროცედურების გამოყენების შესახებ.“<sup>127</sup> წამებასთან ბრძოლის კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პერსონალის მომზადება გენდერის ნიშნით მოტივირებული ძალადობის გავლენის შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ გამოიჩინონ აღნიშნული ძალადობის მსხვერპლების მიმართ სენსიტიურობა, რათა თავიდან იქნას აცილებული ხელახალი ვიქტიმიზაცია და სტიგმატიზაცია.<sup>128</sup>

## გენდერზე დაფუძნებული სტერეოტიპების იდენტიფიცირებისა და მათთან ბრძოლის მნიშვნელობა

57. CEDAW კომიტეტის მე-5 მუხლის და სტამბოლის კონვენციის 12.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, ებრძოლონ წინასწარგანწყობებსა და ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებს, რომელიც ეყრდნობა გენდერზე დაფუძნებულ სტერეოტიპებს. ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში, „წინასწარ შექმნილმა და სტერეოტიპულმა წარმოდგენებმა იმაზე, თუ რა განსაზღვრავს ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილ ძალადობას, რა რეაგირება უნდა მოახდინოს ქალმა ასეთ ძალადობაზე, და მტკიცების სტანდარტმა, რომელიც საჭიროა [გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის] დასადასტურებლად, შესაძლოა გავლენა იქონიოს ქალთა მიერ კანონის წინაშე თანასწორობის, სამართლიანი სასამართლოს და სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლებებზე.“<sup>129</sup> აღიარებულია, რომ მსხვერპლთა რეაქცია ძალადობაზე განსხვავებულია, ხოლო გენდერული თანასწორობის ევროპულმა ინსტიტუტმა<sup>130</sup> ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ განხორციელებული „რისკის შეფასება არ უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ მსხვერპლის მოსაზრებებს, ვინაიდან მსხვერპლმა, შესაძლოა არასათანადოდ ან გადაჭარბებულად შეაფასოს საფრთხე და თავი შეიკავოს ინფორმაციის გაზიარებისგან სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის, იმის გამო, რომ იგი უსაფრთხოდ არ გრძნობს თავს.“<sup>131</sup>
58. რაც შეეხება გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლის ქცევას, სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს და უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის, მათ შორის, მეუღლის მიერ გაუპატიურების მსხვერპლებთან დაკავშირებით არ იქნას მიჩნეული, რომ ისინი მუდმივ მზაობაში არიან, თანხმობა განაცხადონ სექსუალურ აქტზე; ფიზიკური ძალადობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არის სავალდებულო გაუპატიურების დასადგენად; ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს არ ეკისრებათ მათ წინაშე არსებული საფრთხეების შეფასების მოვალეობა და მოძალადეთა პასუხისმგებლობაში მიცემის ტვირთი.<sup>132</sup>

59. დიდმა პალატამ საქმეში *Konstantin Markin v. Russia* აღიარა გენდერული სტერეოტიპების იდენტიფიცირების მნიშვნელობა.<sup>133</sup> ეს სტერეოტიპებია:

- მსხვერპლის დადანაშაულება: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა „აღმოფხვრან მსხვერპლის დადანაშაულების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ქალს ეკისრება პასუხისმგებლობა საკუთარ უსაფრთხოებაზე და მის მიერ განცდილი ძალადობის გამო“;<sup>134</sup>
- გაუპატიურების მსხვერპლის ქცევის შესახებ შექმნილი წინასწარი წარმოდგენები: „სტერეოტიპები გავლენას ახდენს ქალთა სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, ხოლო სასამართლომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა არ შექმნას ხისტი სტანდარტები იმის შესახებ, თუ როგორები უნდა იყვნენ ქალები ან გოგონები ან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ გაუპატიურების შემთხვევაში, რაც ეფუძნება მხოლოდ წინასწარ შექმნილ აზრებს იმაზე, თუ რა განსაზღვრავს გაუპატიურების ან გენდერული ნიშნით ძალადობის (8.4)<sup>135</sup> მსხვერპლს.». კერძოდ, CEDAW კომიტეტმა გააკრიტიკა შემდეგი სტერეოტიპები და არასწორი წარმოდგენები: „გადაწყვეტილების საფუძველზე ჩანს, რომ მოსამართლემ დაასკვნა, რომ საჩივრის ავტორის რეაქციები იყო ერთმანეთთან შეუთავსებელი, ვინაიდან იგი ჯერ შეეწინააღმდეგა, ხოლო შემდეგ კი დანებდა, რაც სასამართლოს აზრით, პრობლემური იყო. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა პრინციპი, რომლის თანახმადაც „ის ფაქტი, რომ მსხვერპლს გაქცევა არ უცდია, არ უარყოფს გაუპატიურების არსებობას.“ აღნიშნულის ნაცვლად, სასამართლო გარკვეული სახის ქცევას ელოდა საჩივრის ავტორისგან, რომელიც სასამართლოს მიერ აღქმული იქნა, როგორც „მოკრძალებული ქალი, რომლის შემინებაც ადვილია.“ გადაწყვეტილებიდან ცალსახად ჩანს, რომ მოვლენების საჩივრის ავტორისეული ვერსიის სანდოობის შეფასებაზე გავლენა იქონია არაერთმა სტერეოტიპმა. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა არ განახორციელა ის ქმედებები, რომელიც მოსალოდნელია რაციონალური და „იდეალური მსხვერპლისგან“ ანუ ის ქმედებები, რომელსაც მოსამართლე მიიჩნევდა გაუპატიურების სიტუაციაში მყოფი ქალის რაციონალურ და იდეალურ რეაგირებად.“<sup>136</sup>
- გენდერულად მიკერძოებული წინასწარ შექმნილი მოსაზრებები მოძალადის სანდოობის შესახებ: „ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირები არიან პასუხისმგებელი და თავად იღებენ გადაწყვეტილებებს ძალადობის გამოყენებასთან დაკავშირებით. არაერთი მოძალადე სამუშაო ადგილას, სოციალურ ქსელში ან საზოგადოებაში არ იქცევა ძალადობრივად, არამედ, ისინი ირჩევენ თუ როდის, სად და როგორ გამოიყენონ ძალადობა.“ ამასთან, „მოძალადეებს შესაძლოა, კარგად გამოსდიოდეთ ძალადობის დამალვა და საჯაროდ საკუთარი თავის წარმოჩენა კეთილ, მოსიყვარულე, მომხიბლავ და მოსაწონ ადამიანებად, ხოლო მაშინ, როდესაც გარშემო სხვები არ არიან, ისინი იქცევიან სასტიკად, ძალადობრივად, დამაზიანებლად და მანიპულაციურად.“<sup>137</sup>

60. ამგვარი სტერეოტიპები გავრცელებულია ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის შემთხვევებში და შეიძლება დასტურდებოდეს მოძალადის, ნათესავების, მსხვერპლის მეგობრების და მეზობლების განცხადებებიდან (რაც ადასტურებს წინასწარ განწყობებზე დაფუძნებულ სოციალურ და კულტურულ მოდელებს), პოლიციელთა, გამომძიებელთა, პროკურორთა და მოსამართლეთა განცხადებებიდან (რაც ადასტურებს დისკრიმინაციას დადანაშაულის გამომძიების და პრევენციის პროცესში) და სახელმწიფოს მიერ სასამართლოში წარდგენილი არგუმენტებიდანაც კი. თითოეული ასეთი შემთხვევა საჭიროებს გამოვლენას და შესაბამის სტერეოტიპებთან ბრძოლას.



დასკვნა და  
სასარგებლო  
რესურსები

# დასკვნა

61. ქალთა მიმართ ძალადობის სისტემური და სტრუქტურული ბუნებისა და წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილული გამოწვევების გათვალისწინებით, რომელიც ამგვარ საქმეებზე სამართალწარმოებას უკავშირდება, მიზანშეწონილია დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა ზოგადი ღონისძიებებისა და სასამართლო აკრძალვების მიღება ვთხოვთ ევროპულ სასამართლოს, კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად, ან რა კონკრეტული რეკომენდაციების მიღება ვთხოვთ CEDAW კომიტეტს. ეს ღონისძიებები, შესაძლოა, ითვალისწინებდეს კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ, გაუპატიურების თუ სხვა სექსუალური ძალადობის დანაშაულების თანხმობაზე დაფუძნებული დეფინიციის მიღებას, მეუღლის მიერ გაუპატიურების კრიმინალიზებას და ოჯახში ძალადობის ცალკე მუხლის შეტანას სისხლის სამართლის კოდექსში (იმ იურისდიქციებში, სადაც აღნიშნული ადმინისტრაციული დანაშაულია), ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების საჯარო/ex officio სისხლისსამართლებრივი დევნის შემოღებას და პოლიციის, სასამართლოს და პროკურატურის წარმომადგენლებისათვის სავალდებულო ტრენინგების დანერგვას. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვანია, რათა გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის ქალი მსხვერპლების მიერ განცდილი ტანჯვა და გამოცდილება სრულად იქნას აღიარებული და გამოსწორდეს სახელმწიფოს მიერ სტრუქტურული უთანასწორობის, დისკრიმინაციის, სუბორდინაციისა და გენდერული იერარქიების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული შედეგები. აღნიშნული ქალთა მიმართ ძალადობის ძირეული მიზეზებია.<sup>138</sup>
62. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოებაში გენდერული პერსპექტივის ინტეგრაცია საჭიროებს:
- გენდერული პერსპექტივის გამოყენებას ყველა დონეზე (პრევენცია, გამოძიება, სამართლებრივი დევნა, დასჯა, კომპენსაცია). ამავდროულად, უნდა შეფასდეს, თუ რამდენად შეასრულა სახელმწიფომ სათანადო გულისხმიერების მოვალეობა, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით;
  - გენდერული სტერეოტიპების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა;
  - ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა, სექსუალური ძალადობის ჩათვლით, ავტომატურად შესწავლილი უნდა იქნას, როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმა, კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე.

# სასარგებლო რესურსები

ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს ფაქტობრივი მონაცემები ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შესახებ:

[https://www.echr.coe.int/Documents/FS\\_Violence\\_Woman\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/FS_Violence_Woman_ENG.pdf)

[https://www.echr.coe.int/Documents/FS\\_Domestic\\_violence\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/FS_Domestic_violence_ENG.pdf)

გაეროს სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის საქმეებზე ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ:

[https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook\\_on\\_effective\\_prosecution\\_responses\\_to\\_violence\\_against\\_women\\_and\\_girls.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook_on_effective_prosecution_responses_to_violence_against_women_and_girls.pdf)

კერძოდ, იხ. სექციები სტრუქტურის (გვ. 31); ლეტალობის რისკის საკონტროლო ჩამონათვალის (გვ.53); მსხვერპლთა დაცვის (გვ.56 და 97); მტკიცებულების (გვ.99) და ექსპერტი მოწმეების შესახებ (გვ.111).

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ („სტამბოლის კონვენცია“):

<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168008482e>

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW):

<https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/cedaw.aspx>

**CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია No. 35** ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ, რომლითაც განახლდა ზოგადი რეკომენდაცია **No. 19**:

[https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1\\_Global/CEDAW\\_C\\_GC\\_35\\_8267\\_E.pdf](https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf)

**1995** პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა:

[https://beijing20.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/csw/pfa\\_e\\_final\\_web.pdf](https://beijing20.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/csw/pfa_e_final_web.pdf)

გაეროს მიერ განახლებული მოდალური სტრატეგიები და პრაქტიკული ღონისძიებები ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სფეროში (2010):

[https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/Model\\_Strategies\\_and\\_Practical\\_Measures\\_on\\_the\\_Elimination\\_of\\_Violence\\_against\\_Women\\_in\\_the\\_Field\\_of\\_Crime\\_Prevention\\_and\\_Criminal\\_Justice.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/Model_Strategies_and_Practical_Measures_on_the_Elimination_of_Violence_against_Women_in_the_Field_of_Crime_Prevention_and_Criminal_Justice.pdf)

გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტი ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ:

<https://www.un.org/womenwatch/daw/vaw/handbook/Handbook%20for%20legislation%20on%20violence%20against%20women.pdf>

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის გააზრება და მასზე რეაგირება, ფემიციდი:

[https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/77421/WHO\\_RHR\\_12.38\\_eng.pdf;jsessionid=BDFE3BF04DE30722EFF4311A1F63A6EC?sequence=1](https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/77421/WHO_RHR_12.38_eng.pdf;jsessionid=BDFE3BF04DE30722EFF4311A1F63A6EC?sequence=1)

# დასკვნები

1. სასარგებლო ინფორმაციის შეიცავს შემდეგი სახელმძღვანელოები: ჯანმო, 'სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა სამედიცინო/იურიდიული მზრუნველობის სახელმძღვანელო' (2003) <<https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/42788/924154628X.pdf;jsessionid=3CDA026E640ADAFB846790846A274E1B?sequence=1>> ნანახია 2021 წლის 19 იანვარს; სამეფო პროკურატურა, 'ოჯახში ძალადობის სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორებისთვის' (განახლებულია 2020 წლის 28 აპრილს) <<https://www.cps.gov.uk/legal-guidance/domestic-abuse-guidelines-prosecutors>> ნანახია 2021 წლის 19 იანვარს.
2. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) დამოუკიდებელი სამართლებრივი ცენტრია, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და გაეროს მექანიზმების წინაშე ასორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას რუსეთის ფედერაციის, საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის და სომხეთის წინააღმდეგ, აღნიშნულ ქვეყნებში პარტნიორ იურისტებთან და არა-სამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად.
3. UNGA, 'გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების და სხვა სასტიკი და არაპუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე: წამების და სხვა სასტიკი, არაპუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის რეგულაციები ოჯახში ძალადობის კონტექსტისთვის', (2019) UN Doc A/74/148, პ. 3.
4. *Osman v UK* No. 23452/94 (ECtHR, 1998 წლის 28 ოქტომბერი).
5. *Eremia v Moldova* No. 3564/11 (ECtHR, 2013 წლის 28 მაისი), პ. 49.
6. *Osman*-ის საქმე შეეხებოდა კაცი მასწავლებლის მიერ სკოლის მოსწავლის, აჰმეთ ოსმანის და მისი ოჯახის შევიწროებას. აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული იყო სკოლა და პოლიცია. სხვადასხვა დისციპლინური ღონისძიებები იქნა მიღებული, თუმცა, სისხლის სამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა. საბოლოოდ, მოძალადემ აჰმეთს ესროლა და დაჭრა, ხოლო აჰმეთის მამა მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. სასამართლომ გამოიყენა ზემოთ ციტირებული ტესტი და დაადგინა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულება არასაკმარისი იყო იმისათვის, რათა დადგენილიყო, პოლიციამ იცოდა თუ არა ან უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ ოსმანების სიცოცხლე რეალური და გარდაუვალი საფრთხის ქვეშ იდგა.
7. *Osman* (n. 4), პ. 116.
8. *Maiorano and others v Italy*, No. 28634/06 (ECtHR, 2009 წლის 15 დეკემბერი).
9. *Saso Gorgiev v the former Yugoslav Republic of Macedonia*, No. 49382/06 (ECtHR, 2012 წლის 19 აპრილი).
10. *Gorovenko and Bugara v Ukraine*, No. 42418/05 (ECtHR, 2012 წლის 12 იანვარი).
11. *Mahmut Kaya v Turkey*, No. 22535/93, (ECtHR, 2000 წლის 28 მარტი), პ. 89.
12. *Blijakaj and others v Croatia*, No. 74448/12 (ECtHR, 2014 წლის 18 სექტემბერი).
13. *Kayak v Turkey*, No. 60444/08 (ECtHR, 2012 წლის 10 ივლისი), პუნქტები 56, 59, 66.
14. *Oneryildiz v Turkey*, No. 48939/99 (ECtHR, 2004 წლის 20 ნოემბერი), პ. 100.
15. *Talpis v Italy*, No. 41237/14 (ECtHR, 2017 წლის 2 მარტი), პ. 122.
16. *Volodina v Russia*, No. 41261/17 (ECtHR, 2019 წლის 9 ივლისი), პ. 92.
17. *Opuz v Turkey*, No. 33401/02 (ECtHR, 2009 წლის 9 ივნისი), პ. 111.
18. *T.M and C.M v the Republic of Moldova*, No. 26608/11 (ECtHR, 2014 წლის 28 იანვარი), პუნქტები 46, 60.
19. იქვე, პ. 47.
20. *Talpis*, (n. 15), პ. 129
21. GREVIO, 'მესამე მხარის ინტერვენცია - Kurt v Austria' (2020) <<https://rm.coe.int/grevio-inf-2020-3-third-party-intervention-kurt-v-austria/pdfa/16809987e9>> ნანახია 2021 წლის 19 იანვარს, პ. 9.
22. მათ შორის, *Civek v Turkey*, No. 55354/11 (ECtHR, 2016 წლის 23 თებერვალი); *Kurt v Austria*, No. 62903/15 (ECtHR, 2019 წლის 4 ივლისი); *Tkheldze v Georgia*, No. 33056/17 (ECtHR, კომუნიცირებულია 2017 წლის 23 ივნისი); *Opuz* (n. 17).
23. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად: მაგალითად, იხ. *Talpis* (n.15), პ. 9; *Kurt* (n. 22), პ. 7; *Kontrova v Slovakia*, No. 7510/04 (ECtHR, 2007 წლის 31 მაისი), პ. 8; *Civek* (n. 22), პ. 12; *Halime Kilic v Turkey*, No. 63034/11 (ECtHR, 2016 წლის 28 ივნისი), პ. 7; *Valiulienė v Lithuania*, No. 33234/07 (ECtHR, 2013 წლის 26 მარტი), პ. 9; *M.G. v Turkey*, No. 646/10 (ECtHR, 2016 წლის 22 მარტი), პ. 7; *E.M. v Romania*, No. 43994/05 (ECtHR, 2012 წლის 30 ოქტომბერი), პ. 13; *D.P. v Lithuania*, No. 27920/08 (ECtHR, 2013 წლის 22 ოქტომბერი), პ. 4.
24. *Opuz*, (n. 17), პ. 111.
25. იხ. წინამდებარე სახელმძღვანელოს პუნქტები 14-20.
26. იხ. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) [2011] CoE Treaty Series, No. 210, მუხლი 51; და წინამდებარე სახელმძღვანელოს პუნქტი 15.
27. იხ. სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, პ. 260.
28. *Opuz* (n. 17), პუნქტები 111, 134.
29. *Valiulienė v Lithuania* No. 33234/07, მოსამართლე პინტო დე ალბუკერკის თანხვედრი მოსაზრება.
30. *Kaya*, პუნქტები 88-101; *Kilic v Turkey*, No. 22492/93 (ECtHR, 2000 წლის 28 მარტი), პუნქტები 62-77; *Avsar v Turkey*, No. 25657/94 (ECtHR, 2001 წლის 10 ივლისი), პუნქტები 368-369, 411.
31. *Volodina* (n. 16).
32. იხ. წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-5 პუნქტში ციტირებული საქმეები.
33. იხ. GREVIO, 'მესამე მხარის ინტერვენცია საქმეში *Kurt v Austria* (n. 21), პუნქტები 13-15, რაც, ასევე, წარმოდგენილია საქმეებში: *Talpis* (n. 15), *Kontrova* (n. 23), და *Kurt* (n. 22). *Talpis* (n. 15), პ. 99: 'ამ მხრივ, კიდევ ერთხელ საზგასმით აღნიშნავს, რომ ბავშვებს და სხვა მოწყველად პირებს - რომელი კატეგორიის ქვეშაც სვედებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლები - უფლება აქვთ, ისარგებლონ სახელმწიფოს დაცვით, რომელიც გულისხმობს პირადი ხელშეუხებლობის მსგავსი მიზეზ დარღვევების ეფექტურ აღკვეთას.'
34. მაგალითად, სასამართლომ სამხრეთ აღმოსავლეთ თურქეთში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შეაფასა საფრთხის არსებობა და საფრთხის შესახებ ინფორმირებულობის საკითხი საქმეში, *Kilic* (n. 30).



35. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW), 'ზოგადი რეკომენდაცია No. 19' (1992), პ. 9; A.T. v Hungary, კომუნიკაცია No. 2/2003 (CEDAW, 2005 წლის 26 იანვარი) 52. პ. 9.2; ასევე, იხ. ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ დეკლარაცია, მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1993 წელს, 48/104 რეზოლუციით, მუხლი 4 (გ).
36. ინტერ-ამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღკვეთის შესახებ, 'ბელემ დო პარას კონვენცია' (მიღებულია 1994 წლის 6 სექტემბერს, ძალაში შევიდა 1995 წლის 3 მაისს), მუხლი 7; *Velasquez Rodriguez v Honduras* (1988), Series C. No. 4, პ. 172; ინტერ-ამერიკული კომისია ადამიანის უფლებების შესახებ, *Maria Da Penha v Brazil* (2001), ანგარიში No. 54/01, საქმე 12.051.
37. UNHRC, 'ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, რადიკა კომარასგამი' (1996) UN Doc E/CN.4/1997/47/Add.1.
38. იხ. სტამბოლის კონვენცია (ნ. 26), მუხლები 5, 18, 49-56.
39. სტამბოლის კონვენციის 51-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად; ასევე, იხ. UNODC, 'სახელმძღვანელო ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის ეფექტური სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ: ლეტალობის რისკის საკონტროლო ჩამონათვალი' (2014) [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook\\_on\\_effective\\_prosecution\\_responses\\_to\\_violence\\_against\\_women\\_and\\_girls.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook_on_effective_prosecution_responses_to_violence_against_women_and_girls.pdf), ნანახია 2021 წლის 19 იანვარს, გვ. 53 (ლეტალობის რისკის საკონტროლო ჩამონათვალი).
40. *Volodina* (n. 16), პ. 92; *Opuz* (n. 17), პუნქტები 141-151; *T.M. and C.M.* (n. 18), პ. 46; *Talpis* (n. 15), პუნქტები 106, 129.
41. CEDAW, 'ზოგადი რეკომენდაცია No. 35' (2017) UN Doc CEDAW/C/GC/35, პ. 55.
42. UNHRC, 'წამების და სხვა სასტიკი და არაპუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში' (2016) UN Doc A/HRC/31/57, გვ. 55,
43. *Maria da Penha Maia Fernandes v Brazil* (n. 36), პ. 56.
44. *Volodina* (n. 16), პ. 113; ასევე, იხ.: *Talpis* (n. 15), პ. 117.
45. *Volodina* (n. 16), პ. 86; ასევე, იხ. *Bevacqua and S v Bulgaria*, No. 71127/01 (ECtHR, 2008 წლის 12 ივნისი), პ. 83; *Opuz* (n. 17), პუნქტები 166-167; *Eremia* (n. 5), პუნქტები 62-66; და *B. v. the Republic of Moldova*, No. 61382/09 (ECtHR, 2013 წლის 16 ივლისი), პ. 53.
46. *Talpis* (n. 15), პ. 118.
47. სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი (ნ. 27), პ. 260: 'არაერთი მოძალადე მსხვერპლს მძიმე ძალადობით ემუქრება, მათ შორის, სიკვდილით, ხოლო წარსულში მსხვერპლის წინააღმდეგ განხორციელებული აქვს სერიოზული ძალადობა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ რისკის შეფასება და რისკის მართვა ითვალისწინებდეს განმეორებითი ძალადობის ალბათობას, განსაკუთრებით, სასიკვდილო ძალადობის, და ადექვატურად აფასებდეს სიტუაციის სერიოზულობას.'
48. *Kurt* (n. 22).
49. *M.C. v Bulgaria*, No. 39272/98 (ECtHR, 2003 წლის 4 დეკემბერი), პ. 181.
50. CEDAW კომიტეტი, 'ზოგადი რეკომენდაცია No. 35'.
51. *Vertido v Philippines*, კომუნიკაცია No. 18/2008 (CEDAW, 2010 წლის 16 ივლისი) UN Doc CEDAW/C/46/D/18/2008; *R.P.B. v Philippines*, კომუნიკაცია No. 34/2011 (CEDAW, 2014 წლის 21 თებერვალი) UN Doc. CEDAW/C/57/D/34/2011.
52. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროცედურისა და მტკიცების წესები (2013), წესი 70; ICC დანაშაულთა ელემენტები, მუხლი 7(2) და 8(2); ICC დანაშაულთა ელემენტები, მუხლი 7 (1) (გ)-1, 2011; *The Prosecutor v Germain Katanga* ICC-01/04-01/07, ბრალდების დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება, 2008 წლის 26 სექტემბერი, პ. 440; ICC, *The Prosecutor v Jean-Pierre Bemba Gombo* ICC-01/05-01/08- 3343, განჩინება, 2016 წლის 21 მარტი, პუნქტები 105-106.
53. ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, *Fernandez Ortega et al. v Mexico* (2011), Series C No 224.
54. *Prosecutor v Jean-Paul Akayesu* (გადაწყვეტილება), ICTR-96-4-T (1998 წლის 2 სექტემბერი).
55. *Prosecutor v Kunarac, Kovac and Vukovic* (გადაწყვეტილება), IT-96-23 & IT-96-23/1-A (2002 წლის 12 ივნისი).
56. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღკვეთის შესახებ კონვენციის ზედამხედველობის მექანიზმის (MESECVI) ექსპერტთა კომიტეტის ანგარიში სექსუალური ძალადობისა და არასრულწლოვანთა ორსულობის შესახებ ბელემ დო პარას კონვენციის ხელისშემკვრელ სახელმწიფოებში (2012 წლის აპრილი) <<https://www.oas.org/en/mesecevi/docs/mesecevi-sgundoinformehemisferico-en.pdf>> ნანახია 2021 წლის 19 იანვარს; დეკლარაცია ქალების, გოგონების და მოზარდების წინააღმდეგ ძალადობის და მათი სექსუალური და რეპროდუქტიული უფლებების შესახებ, OEA/Ser.L/11.710 MESECVI/CEVI/DEC.4/14 (2014 წლის 19 სექტემბერი) OEA/Ser.L/11.710 MESECVI/CEVI/DEC.4/14.
57. *M.C.* (n. 49), პ. 181.
58. *Vertido* (n. 51), პ. 8.9 (b).
59. იქვე, პუნქტები 8.9, 8.5.
60. CEDAW, 'ზოგადი რეკომენდაცია No. 35', პ. 33.
61. ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა უფლებების შესახებ გაეროს დამოუკიდებელი და რეგიონული ექსპერტული მექანიზმების პლატფორმა, 'თანხმობის არ არსებობა უნდა გახდეს გაუპატიურების განმარტების გლობალური სტანდარტი' (2019) <<https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=25340&LangID=E>> ნანახია 2021 წლის 19 იანვარს.
62. *E.B v Romania*, No. 49089/10 (ECtHR, 2019 წლის 19 მარტი), პ. 58.
63. იქვე, პ. 60.
64. იქვე, პ. 63.
65. 'სექსუალური ძალადობის შესახებ პაავის პრინციპები' (2019) <<https://4genderjustice.org/ftp-files/publications/The-Hague-Principles-on-Sexual-Violence.pdf>> ნანახია 2021 წლის 19 იანვარს.
66. იქვე, ნაწილი 1, 2(b).
67. იქვე, ნაწილი 5, 1(გ).
68. იქვე, ნაწილი 5, 1(j).
69. იქვე, დანართი 1, ნაწილი 1(16): 'შესაბამის სექსუალურ აქტივობაზე თანხმობა, ასევე, უნდა იყოს კონკრეტული და მიმდინარე. ამრიგად, არასაკმარისია, თუ პირი დაეთანხმა მსგავსი ქცევას, თუ იგი მანამდე დაეთანხმა შესაბამის აქტივობას (აქტივობებს), თუ მან ჯერ თანხმობა განაცხადა, ხოლო მოგვიანებით კი თანხმობა წაიღო უკან ან იმ შემთხვევაში, თუ სექსუალური აქტივობის ბუნება შეიცვალა მისი თანხმობის გარეშე.'
70. სტამბოლის კონვენცია (ნ. 26), მუხლი 46(a).

71. CEDAW კომიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა ყირგიზეთში (CEDAW/C/OP.8/KGZ.1) ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კონვენციის ფაქულტატიური ოქმის მე-8 მუხლის მიხედვით (2018 წლის 21 სექტემბერი) UN Doc CEDAW/C/OP.8/KGZ/1, პ. 92.b.
72. CEDAW კომიტეტი, 'დასკვნითი მოსაზრებები ტაჯიკეთის მეექვსე პერიოდული ანგარიშის შესახებ' (2018 წლის 9 ნოემბერი) UN Doc CEDAW/C/TJK/CO/6, პ. 26.
73. CEDAW კომიტეტი, 'დასკვნითი მოსაზრებები ბელარუსის მრვე პერიოდული ანგარიშის შესახებ' (2016 წლის 18 ნოემბერი) UN Doc CEDAW/C/BLR/CO/8, პ. 23(a).
74. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 'დასკვნითი მოსაზრებები ლატვიის პერიოდული ანგარიშის შესახებ' (2014 წლის 11 აპრილი) UN Doc CCRP/C/LVA/ CO/3, პ. 9(a).
75. CEDAW კომიტეტი, 'დასკვნითი მოსაზრებები ლიეტუვას მეხუთე პერიოდული ანგარიშის შესახებ' (2014 წლის 24 ივლისი) UN Doc CEDAW/C/LTU/CO/5, პ. 25(e).
76. GREVIO, 'საბაზისო მდგომარეობის შეფასების ანგარიში: მონტენეგრო' (2018), პუნქტები 179, 182.
77. GREVIO, საბაზისო მდგომარეობის შეფასების ანგარიში: ალბანეთი (2017), პ. 135.
78. ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა განყოფილების დეპარტამენტი ქალთა წინსვლისთვის, 'სახელმძღვანელო დოკუმენტი ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ' (2010) ST/ESA/32 (გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტი ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ), გვ. 26, 27.
79. იქვე, სექცია 3.4.3.1.
80. ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა უფლებების შესახებ გაეროს დამოუკიდებელი და რეგიონული ექსპერტული მექანიზმების პლატფორმა (ნ. 61).
81. იხ. მათ შორის, *Opuz v Turkey*, პუნქტები 138-139; გაეროს განახლებული მოდალური სტრატეგიები და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისა და მართლმსაჯულების სფეროში, UNGA Res 65/228 96. (2010 წლის 21 დეკემბერი) UN Doc A/RES/65/228, მუხლი 15(b).
82. სტამბოლის კონვენცია (ნ. 26), მუხლი 55.
83. იხ. სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პ. 279.
84. CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 35, პ. 44.
85. *O.G. v Russia*, კომუნიკაცია No 91/2015 (CEDAW, 2017 წლის 6 ნოემბერი) UN Doc CEDAW/C/68/D/91/2015, პ. 7.7; ასევე, იხ. *X. and Y. v Russia*, კომუნიკაცია No 100/2016 (CEDAW, 2019 წლის 16 ივლისი) UN Doc CEDAW/C/73/D/100/2016.
86. *O.G v Russia* (ნ. 85), პ. 9.
87. CEDAW კომიტეტი, 'დასკვნითი მოსაზრებები რუსეთის ფედერაციის მრვე პერიოდული ანგარიშის შესახებ', UN Doc CEDAW/C/RUS/CO/8, პ. 22.
88. წამებასთან ბრძოლის კომიტეტი, 'დასკვნითი მოსაზრებები რუსეთის ფედერაციის მეექვსე პერიოდული ანგარიშის შესახებ', UN Doc. CAT/C/RUS/CO/6, პუნქტები 30-31.
89. ადამიანის უფლებათა საბჭო, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან პატივისა და ღირსების შემლახვი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელი (2016) UN Doc. A/HRC/31/57, 2016, პ. 12.
90. *T.M and C.M. v Moldova* (ნ. 18), პუნქტები 46, 60.
91. *Opuz v Turkey* (ნ. 17), პუნქტები 138-139.
92. *Volodina* (ნ.16), პ. 84.
93. ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, შესწორებული) (ECHR). მე-14 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის პროცესში. შესაბამისად, ევროპული სასამართლო მე-14 მუხლს ყოველთვის განიხილავს ევროპული კონვენციის სხვა მატერიალურ უფლებასთან ერთად. თუმცა, მე-14 მუხლი არ არის დამოკიდებული სხვა უფლების დარღვევის არსებობაზე. მე-12 ოქმის პირველი მუხლის თანახმად, დისკრიმინაციისგან დაცვა ცალკე მდგომ უფლებას წარმოადგენს. დამატებითი ინფორმაციისათვის, იხ. ECtHR, 'ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის და მე-12 ოქმის პირველი მუხლის სახელმძღვანელო: დისკრიმინაციის აკრძალვა' (განახლდა 2020 წლის 31 აგვისტოს) <[https://www.echr.coe.int/Documents/Guide\\_Art\\_14\\_Art\\_1\\_Protocol\\_12\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_14_Art_1_Protocol_12_ENG.pdf)> ნანახია 2021 წლის 19 იანვარს, გვ. 6-10.
94. *Dudgeon v the United Kingdom*, No. 7525/76 (ECtHR, 1981 წლის 22 ოქტომბერი), პ. 49; *Chassagnou and others v France*, Nos. 25088/94, 28331/95 და 28443/95 (ECtHR, 1999 წლის 29 აპრილი), *Aziz v Cyprus*, No. 69949/01 (ECtHR, 2004 წლის 22 დეკემბერი).
95. *Opuz v Turkey*, პ. 200; *Bălșan v Romania*, No. 49645/09 (ECtHR, 2017 წლის 23 მაისი), პ. 88; ასევე, იხ. CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 19, პუნქტები 1, 6-7; CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 28 რომელიც შეეხება CEDAW კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ წევრ სახელმწიფოთა ძირითად მოვალეობებს (2010) UN Doc. CEDAW/C/GC/28 ("CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 28"), პ. 19; CEDAW ზოგადი რეკომენდაცია No. 35, პ. 1; O.G. (ნ. 85), პ. 7.3; ადამიანის უფლებათა საბჭო, წამების და სხვა სასტიკი, არაპუმანური ან პატივისა და ღირსების შემლახვი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში' (2016) UN Doc. A/HRC/31/57, 2016, პ. 55; სტამბოლის კონვენცია (ნ. 26), მუხლი 3(a); სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პ. 1.
96. CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 19, პ. 7.
97. CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 35, პ. 2.
98. იხილეთ, მაგალითად, CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No. 35, პუნქტები 16, 17; წამების საკითხებზე სპეციალური მომხსენებელი (2016) UN Doc A/HRC/31/57, პუნქტები 8, 11; ადამიანის უფლებათა საბჭო, წამების და სხვა სასტიკი, არაპუმანური ან პატივისა და ღირსების შემლახვი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში (2008) UN Doc. A/HRC/7/3, პ. 36; ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია No. 28 მე-3 მუხლის შესახებ: ქალთა და კაცთა უფლებრივი თანასწორობა (2000) UN Doc. CCRP/C/21/Rev.1/Add.10.
99. *Volodina* (ნ. 16), პ. 111 (ხაზგასმა დამატებული).
100. მაგალითად, იხ. *Eremia* (ნ. 5), პ. 89; *Mudric v Moldova*, No. 74839/10 (ECtHR, 2013 წლის 16 ივლისი), პ. 63; *Bălșan* (ნ. 95), პ. 85.
101. *Opuz* (ნ. 17), პ. 200 (ხაზგასმა დამატებული); *Bălșan* (ნ. 95), პ. 88; *Volodina* (ნ. 16), პ. 111.
102. ასევე, იხ. CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია No. 19, პუნქტები 1, 6-7; CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია No. 28, პ. 19; CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია No. 35, პ. 1; O.G. (ნ. 85), პ. 7.3; ადამიანის უფლებათა საბჭო, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში (2016) UN Doc. A/HRC/31/57, 2016, პ. 55; სტამბოლის კონვენცია (ნ. 26), მუხლი 3(a); სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, პ. 1.
103. სტამბოლის კონვენცია (ნ. 26), პრეამბულა.
104. CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია No. 35, პ. 19.

105. ადამიანის უფლებათა საბჭო, 'წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში' (2016) UN Doc. A/HRC/31/57, 2016, პ. 6.
106. ერთმანეთს შეადარეთ ერთი და იგივე სახელმწიფოს მიმართ 2016 წელს მიღებული ორი გადაწყვეტილება: Civek (n. 22) და Halime (n. 23).
107. იხ. CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია No. 35, პუნქტები 11, 2.
108. იხ. მათ შორის, *Volodina* (n. 16), პ. 92; და *Eremia* (n. 5), პ. 51.
109. *Angelova and Iliev v Bulgaria*, No. 55523/00 (ECtHR, 2007 წლის 26 ივლისი), პ. 98; ასევე, იხ. *Virabyan v Armenia*, No. 40094/05 (ECtHR, 2012 წლის 2 ოქტომბერი), პ. 218.
110. ინტერ-ამერიკული ადამიანის უფლებათა სასამართლო, *González et al. ("Cotton Field") v Mexico* (2009) Series C no.205, პ. 293.
111. Fernández Ortega et al. (n. 5), პ. 193.
112. *Eremia* (n. 5), პ. 51.
113. *Vertido* (n. 51) პ. 8.4; ასევე, იხ. CEDAW, 'ზოგადი რეკომენდაცია No. 35', პ. 26(c).
114. *Talpis* (n. 15), პ. 141; *Eremia* (n. 5), პ. 89. .
115. გაეროს წამებასთან ბრძოლის კომიტეტი, 'ზოგადი კომენტარი No. 3: მხარე სახელმწიფოების მიერ მე-14 მუხლის იმპლემენტაცია' (2012) UN Doc CAT/C/GC/3, პ. 33.
116. იქვე, პ. 194.
117. იხ. მაგალითად *Volodina* (n. 16), პუნქტები 97-98.
118. იხ. იქვე, პ. 95.
119. ასევე, იხ.: სტამბოლის კონვენცია (n. 26), მუხლი 54; გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის სახელმძღვანელო (n. 78), s 3.9.7.2, გვ. 43-44.
120. CEDAW, 'ზოგადი რეკომენდაცია No 19'. შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ, იხ.: *R.P.B* (n. 51); *L.R. v Republic of Moldova*, კომუნიკაცია No. 58/2013 (CEDAW, 2017 წლის 28 თებერვალი) UN Doc CEDAW/C/66/D/58/2013; E.B. (n. 62); მშპ პირთა უფლებების შესახებ კონვენცია (ადაპტირებულია 2006 13 დეკემბერს, ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს) UNGA Res A/RES/61/106 (CRPD), მუხლი 12; CRPD, 'ზოგადი კომენტარი No. 6 თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ' (2018) UN Doc CRPD/C/GC/6. ბავშვების შესახებ, იხ.: კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს) UNGA Res A/RES/44/25; CRC, 'ზოგადი კომენტარი No. 12, რომელიც შეეხება ბავშვის უფლებას მისი მოსაზრებების მოსმენაზე (2012) UN Doc CRC/C/GC/12; *M.G.C v Romania*, No. 61495/11 (ECtHR, 2016 წლის 15 მარტი); *M.C.* (n. 49); *I.C v Romania*, No. 36934/08 (ECtHR, 2016 წლის 24 მაისი).
121. გაეროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის სახელმძღვანელო (n. 78) s 3.9.6, გვ. 42.
122. იქვე, s 3.9.7.1, გვ. 43.
123. იხ. CEDAW, 'ზოგადი კომენტარი No 35', პ. 19.
124. იხ. CEDAW ზოგადი რეკომენდაცია, პუნქტები 29 (c)(iii), 32(b).
125. ადამიანის უფლებათა საბჭო, 'სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ', (2017) UN Doc A/HRC/35/30, პ. 98.
126. იქვე, პ. 106.
127. CEDAW 'დასკვნითი რეკომენდაციები რუსეთის ფედერაციის მერვე პერიოდული ანგარიშის შესახებ' UN Doc CEDAW/C/RUS/CO/8, პ. 22.
128. გაეროს წამებასთან ბრძოლის კომიტეტი, 'ზოგადი კომენტარი No. 3: სახელმწიფო მხარეების მიერ მე-14 მუხლის იმპლემენტაცია' (2012) UN Doc CAT/C/GC/3, პ. 34.
129. CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია No. 35, პ. 26(c).
130. გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (EIGE), 'ევროკავშირში პარტნიორის მიერ ჩადენილი ძალადობის რისკის შეფასება და მართვა' (2019 წლის ნოემბერი) ხელმისაწვდომია: <https://eige.europa.eu/publications/risk-assessment-and-management-intimate-partner-violence-eu> ნანახია 2021 წლის 19 იანვარს.
131. იქვე, სექცია 2.4.1.1.
132. *Volodina* (n. 16); ასევე, იხ. UNODC 'სახელმძღვანელო ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური სამართლებრივი დევნის შესახებ' (2010), [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook\\_on\\_effective\\_prosecution\\_responses\\_to\\_violence\\_against\\_women\\_and\\_girls.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Handbook_on_effective_prosecution_responses_to_violence_against_women_and_girls.pdf) ნანახია 2021 წლის 19 იანვარს.
133. *Konstantin Markin v. Russia*, No. 30078/06 (ECtHR, 2012 წლის 22 მარტი), პუნქტები 142-143.
134. CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია No 35, პ. 35(b).
135. *Vertido* (n. 15), პ. 8.4.
136. იქვე, პ. 8.5; ასევე, იხ. GREVIO, 'მესამე მხარის ინტერვენცია საქმეში Kurt v Austria', პუნქტები 10-11.
137. დასავლეთ ავსტრალიის მთავრობის ბავშვთა დაცვის დეპარტამენტი, 'საინფორმაციო ბარათი 3: ამსრულებლის მახასიათებლები' (2013) <<https://www.dcp.wa.gov.au/CrisisAndEmergency/FDV/Documents/2015/FactSheet3PerpetratorCharacteristics.pdf>> ნანახია 2021 წლის 19 იანვარს, გვ. 1, 3.
138. რასაც ასევე მხარს უჭერენ მოსამართლე პინტო დე ალბუკერკი და მოსამართლე დედოვი მათ განსხვავებულ მოსაზრებაში საქმეზე *Volodina* (n. 16), პუნქტები 13-20. აგრეთვე იხილეთ *González et al.* (n. 110), პ. 450; UNHRC, 'ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის, რაშიდა მანჯოს ანგარიში,' (2013) UN Doc A/HRC/23/49, პ. 75.



## **EHRAC** European Human Rights Advocacy Centre

მიდლსექსის უნივერსიტეტი  
ბეროუზ ჰენდონი  
NW4 4BT  
ტელ: +44 208 411 2826

EHRAC დაარსებულია მიდლსექსის უნივერსიტეტში.  
უნივერსიტეტი გათავისუფლებული საქველმოქმედო  
ორგანიზაციაა 1960 წლის საქველმოქმედო აქტის  
შესაბამისად.

ეს უბლიკაცია მომზადდა  
საგარეო საქმეთა სამინისტროს და მარება  
ლიტვის საქმეები. ამის შინაარსი  
გამოქვე ნება მ ოლოდ EHRAC- ს ეკისრება  
და არავითარ შემთ ვევაში არ შეი ლება იქნას  
ა ებული მოსაზრებები  
ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

გარეკანის ფოტო: ირა აბრამოვა.

